პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. აღმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
ტელეფონი 10—49

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58)

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ—65 კ., დანარჩენებისათვის ქალაქში—33 კ., ქალაქს გარეშე—95 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს". განცხადებები: ხომპარელის სტრიქონი—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო 5 მან. დოკუმენტების დაკარგვა—50 კაპ. განცხადებები მიიღება 3 საათამდი.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43

— ინგლისის პოლიციამ კვლავ დააპატიმრა ირლანდიელი რევოლიუციონერი დე-ვალერა.

— ჩინეთში შედგა ახალი მთავრობა, იაპონიამ გადასწყვიტა აქტიურად ჩაერიოს ჩინეთის საქმეებში.

— გერმანიის კომპარტიამ გამოაქვეყნა საარჩევნო მანიფესტი.

— აჯანყების ჩაქრობის დროს [illegible] მთავრობამ [illegible] რაბიაში გადასწვა რამდენიმე ათეული სოფელი.

— მოსკოვის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა გადაიხადა ასი წლის იუბილე.

ოთხშაბათი 29 ოქტომბერი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 248 (1103)

აფერისტების ხელი

მკითხველმა უკვე იცის, თუ რა გაშმაგებულ კამპანიას აწარმოებდა ინგლისის ბურჟუაზია ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ. ეს ხელშეკრულება გახდა მაკდონალდის მთავრობის დამარცხების და პარლამენტის დათხოვნის მიზეზად.

ინგლისში დღეს მიმდინარე საარჩევნო კამპანიაში აღნიშნული ხელშეკრულება, მისი დამტკიცება თუ უარყოფა, წარმოადგენს ცენტრალურ საკითხს რომელიც ყოფს ამომრჩეველთ ორ მოპირდაპირე ბანაკად.

ინგლისის ბურჟუაზია არ ჩერდება არაფრის წინაშე, რათა ჩაშალოს დადებული ხელშეკრულება და ამ საკითხთან დაკავშირებით გაშაოს „მუშათა" მთავრობა, ნდობა დაუკარგოს მას ამომრჩეველთა ფართე მასსაში.

მაგრამ ის საშუალება, რომელსაც ამ მიზნით სულ უკანასკნელ დროს მიმართა ბურჟუაზიამ და რომელსაც მკითხველი გაეცნობა, უდიდეს „შემოქმედებითი მოღვაწედ" უნდა ჩაითვალოს. ამ „შემოქმედებას" აზის სისხლის სამართლის დანაშაულობის უტყუარი ბეჭედი. გადამწყვეტ მომენტში, არჩევნების წინ, გამოქვეყნებულ იქნა ვითომდა ამხ. ზინოვიევის სადირექტივო - საინსტრუქციო წერილი ბრიტანეთის კომპარტიის მიმართ, რომელშიც კომინტერნი მოუწოდებს უკანასკნელს გააძლიეროს მზადება ჯარსა და ფლოტში აჯანყებისათვის ინგლისში არსებულ წყობილების დასამხობად.

ჩვენ გვახსოვს, რომ შარშან კერზონმა ანალოგიურ ყალბ დოკუმენტზე ააგო თავისი ულტიმატუმი საბჭოთა მთავრობის მიმართ. აგრეთვე ვიცით, რომ ამერიკელ იუზმაც ამხ. ზინოვიევის „წერილზე" ააშენა თავისი გალაშქრება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

ორივე შემთხვევაში როგორც საბჭოთა მთავრობამ, ისე კომინტერნმა მოთხოვეს ამ ვაჟბატონებს მათ მიერ გამოყენებულ „დოკუმენტების" სინამდვილის დამტკიცება, მიტომ რომ ეს დოკუმენტები აშკარად ყალბი იყვნენ, შეთითხნილნი მათი აგენტების მიერ. მაგრამ კერზონმაც და იუზმაც ამჯობინეს გაჩუმება, რადგან საქმის მიუდგომელი გამოძიება მათ საჯარო სკანდალს შეამთხვევდა.

ჩვენ არ გვიკვირს, რომ ბურჟუაზია ყოველ სისაძაგლეს სჩადის, ყალბ დოკუმენტის შექმნასაც არ ერიდება, რათა ჩვენ ზიანი მოგვაყენოს. ეს მოწმობს არა მარტო იმას, რომ მას ხელი აქვს დაბანილი სინიდისზე, პატიოსნებაზე და ყველა სხვა მაღალ მატერიებზე, არამედ იმასაც, რომ მისი მდგომარეობა შერყეულია და მუშათა კლასის დასამარცხებლად ასეთ „საშუალებებს" მიმართავს.

ჩვენ გვაფიქრებს მხოლოდ ინგლისის მუშათა მთავრობის მოქმედება ამ შემთხვევაში. მაკდონალდი, როცა ჯერ კიდევ მინისტრის სავარძელში არ იჯდა, თავის ქვეყნის გარეშე საქმეთა სამინისტროს შესახებ, სხვათა შორის, წერდა, რომ „არც ერთ დაწესებულებაში პატიოსნება საკითხების გადაჭრის დროს არ არის ისე შეგნებულად განდევნილი და ისე პრინციპიალურად გაუპატიურებული, როგორც გარეშე საქმეთა სამინისტროში... ამიტომ ხალხს ესაჭიროება მძლავრი ხელის და ცოცხის მქონე კაცი, რათა გაწმინდოს გარეშე საქმეთა სამინისტრო".

თვით მაკდონალდი ჩაუდგა მთავრობას და გარეშე საქმეთა სამინისტროს, მაგრამ მის მიერ დახასიათებული ძველი მდგომარეობა ოდნავადაც არ შეცვლილა.

თვით მაკდონალდის აშკარა დაუდევრობის წყალობით, მეტი რო არ ვსთქვათ, მისი გარეშე საქმეთა სამინისტროს აფერისტებმა ესროლეს „ნაღმი" მუშათა მთავრობას, რასაც კარგა ხანია კიდეც იმუქრებოდნენ კონსერვატორები.

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ თავი არ შეიწუხა „დოკუმენტის" სინამდვილის შემოწმებით და მის მიხედვით ნოტით მიმართა ჩვენი მთავრობის წარმომადგენელს.

კონსერვატორულ - ლიბერალური პრესა ზეიმობს. ის ეუბნება ამომრჩეველთ: მაკდონალდის მთავრობამ დასდო ხელშეკრულება ისეთ მთავრობასთან და უნდა სესხის მიცემა ისეთი მთავრობისათვის, რომელიც შიგნით აფეთქებას გვიმზადებსო. ხოლო რომ ამის დამამტკიცებელი გამოქვეყნებული დოკუმენტი ნამდვილია, ამის საწინდარია ის, რომ თვით მთავრობა ემყარება მასო.

არაფრით არ შეიძლება ინგლისის „ობივატელის" დაშინება ისე, როგორც ბოლშევიკურ საფრთხის მოჩვენებით. და აი, კონსერვატორები და ლიბერალები არწმუნებენ ხალხს, რომ „მუშათა" მთავრობა იმყოფება კომუნისტების გავლენის ქვეშო.

კონსერვატორულ პრესას წინასწარ ჩაუვარდა აღნიშნული „დოკუმენტის" ასლი, ან უკეთ, ამ პრესის სულის ჩამდგმელების ხელი ურევია მის შეთხზვაში. გაზ. „დეილი მეილ" დაემუქრა მთავრობას მის გამაშავებელ დოკუმენტის გამოქვეყნებით. გარეშე საქმეთა სამინისტროს არ შეეშინდა ამ მუქარის და თვითონ გამოაქვეყნა „დოკუმენტი" და ამასთან ნოტა გაუგზავნა ჩვენს წარმომადგენელს. ამით უნდოდა ბურჟუაზიის ბრალდება აეცილებია, რომ მთავრობა თითქო ხელს აფარებდეს კომუნისტებს და დაემტკიცებია, რომ ის, პირიქით, ებრძვის მათ. შესაძლებელია აგრეთვე, რომ აქ იყო ერთგვარი შეთანხმება გარეშე საქმეთა სამინისტროს აფერისტებსა და ბურჟუაზიულ ჯგუფებს შორის, რათა ამ „დოკუმენტის" გამოქვეყნებით გაებახებიათ „მუშათა" მთავრობა ხალხის თვალში და მის მიერ ჩვენთან დადებული ხელშეკრულებაც.

მაკდონალდი ეხლა „თავს იმართლებს", რომ ყველაფერი ეს მოხდა ლონდონში მის არ ყოფნის დროს, მის დაუკითხავად, ამასთან აცხადებს რომ ამ საქმეში ურევია ბურჟუაზიულ პარტიების ხელი, აგრეთვე გვპირდება, რომ „დოკუმენტის" სინამდვილეს და საერთოდ საქმის ვითარებას გამოიძიებს.

საბჭოთა მთავრობამ უკვე გასცა გადაჭრილი პასუხი ინგლისის ბურჟუაზიის და გარეშე საქმეთა სამინისტროს გალაშქრებაზე მის წინააღმდეგ.

პირველ ყოვლისა აღსანიშნავია, რომ კომინტერნის მოქმედებისათვის პასუხისმგებელია მხოლოდ კომინტერნი, და არა საბჭოთა მთავრობა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ „დოკუმენტი", რომელიც ხელზე დაიხვიეს კონსერვატორებმა და ლიბერალებმა, აშკარად ყალბია. ინგლისის მთავრობას მხოლოდ მისი სინამდვილის შემოწმების შემდეგ უნდა გადაედგა რაიმე ნაბიჯი, თუ იგი ვერ არჩევს საბჭოთა მთავრობას კომინტერნისაგან. ამისათვის კი ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს, როგორც ვსთქვით თითიც არ გაუნძრევია. ჩვენი მთავრობა წინადადებას აძლევს ინგლისის მთავრობას დანიშნულ იქნას მიუდგომელი სამედიატორო სასამართლო, რომელიც შეამოწმებს „დოკუმენტს" და როცა ის აღმოჩნდება ყალბი, მან ბოდიში უნდა მოიხადოს და პასუხისგებაში მისცეს მისი შემთხზველნი და ამ საქმესთან დაკავშირებელი ელემენტები.

თავის მხრივ ამხ. ზინოვიევი კატეგორიულად ამტკიცებს მისი სახელით გამოქვეყნებულ „დოკუმენტის" სიყალბეს და მიმართავს ტრედიუნიონების საბჭოს წინადადებით აირჩიოს კომისია საკითხის გამოსარკვევად; ამ კომისიის დასკვნას ის მიიჩნევს როგორც საბოლოო დადგენილებას.

ამგვარად, ინგლისის მუშათა კლასს და ყველა პატიოსან მოქალაქეს საშუალება ექნება ფარდა ახადოს მათი და საბჭოთა რესპუბლიკების მტრების საზიზღარ მოქმედებას.

ინგლისის მუშათა კლასის და მაკდონალდის ხელშია ყალბის მქნელ „მაიკის" ბოროტმოქმედების მზის სინათლეზე გამოტანა. ეს შეადგენს მათი სასიცოცხლო ინტერესს.

მენშევიკური გამოსვლების შედეგები და გაკვეთილები

IV. საკითხი სოფლათ მუშაობის შესახებ. ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატი სოფლათ და რაიონებათ დანაწილების საკითხი. კოოპერაცია. აბრეშუმის პარკის ოპერაციების შესახებ

ვეხებით რა ქართული სოფლის მდგომარეობას და პარტიულ-საბჭოთა ორგანოების მუშაობას სოფლათ, უნდა ვსთქვათ, რომ სოფელს ჩვენ ვერ მივაქციეთ, ან და უფრო-სწორად რომ ვსთქვათ ვერ მოვასწარით მივაქცია, სათანადო ყურადღება. პარტიის უმთავრესი ყურადღება მიპყრობილი იყო მოწინააღმდეგის ძალების განადგურების, ე. ი. მენშევიკების და სხვა ანტი-საბჭოთა პარტიების დაშლის საკითხზე; ამ პარტიების დაშლის გარეშე შეუძლებელი იყო ნაყოფიერი მუშაობის წარმოება, როგორც ქალაქში, ისე სოფლად. ეს მუშაობა ჩვენ წარმატებით ჩავატარეთ. მუშათა საკითხი ჩვენ დადებითად გადავსწყვიტეთ და ეს საბჭოთა ხელისუფლების უსადლესი მონაპოვარია აქ.

სოფელში ჩვენ რევოლიუციონური წესით ჩავატარეთ — და ეს ცოტა არ არის — მიწის რეფორმა, სოფლად ჩვენ შევსძელით ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ნაშთების მოსპობა და მიწების გლეხებისათვის გადაცემა.

მაგრამ ამით გლეხის სავსებით დაკმაყოფილება შეუძლებელია, ჩვენ უნდა დავეხმაროთ მას, რომ მან აღადგინოს და გააუმჯობესოს თავისი ეკონომიკა, თავისი პატარა მეურნეობა, რომელიც დაიშალა და დაირღვა ცარიზმისა და მენშევიკების პატრონობის დროს.

მთავრობას და საბჭოთა ხელისუფლებას გლეხი აფასებს იმ ორგანოების მიხედვით, რომლებიც სოფლად მუშაობენ, რომლებთანაც მას ყოველდღე უხდება საქმის დაჭერა.

და აქ ჩვენ უნდა ავღნიშნოთ, ყველა იმ ცნობების მიხედვით, რომლებიც ჩვენს განკარგულებაშია, რომ ჩვენი ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატი სუსტია და ის სათანადოთ ვერ არის დაკავშირებული გლეხთა მოსახლეობის ძირითად მასსასთან.

და ეს ხდება იმიტომ, რომ სოფლათ ჩვენ ცოტა გვყავს მომზადებული და ავტორიტეტული კომუნისტები, რომელთაც შეეძლოთ გლეხთან ახლო მისვლა და მასთან სათანადოთ ლაპარაკი.

მაგრამ, გარდა იმისა, რომ ჩვენ არ გვყავს მუშაკების კარგათ შერჩეული პირადი შემადგენლობა, გლეხებთან დაახლოვების საქმეს ხელს უშლის აგრეთვე რაიონების მეტისმეტი დაშორება გლეხებისაგან. ჩვენ მიერ რუსეთის მაგალითის მიხედვით ჩატარებულმა ეგრეთწოდებულმა „გაფართოვებამ" ანდა რაიონებათ დანაწილებამ არ გამოიღო სასურველი შედეგები; ჩვენ ვერ მივაღწიეთ აპარატის გაიაფებას, გამარტივებას და რაც მთავარია, ვერ დაუახლოვეთ აპარატი გლეხთა მოსახლეობის მასსას. პირიქით, სათემო აღმასკომების გაუქმებამ და მაზრების რაიონებათ დანაწილებამ ნაწილობრივ დააშორა გლეხები ხელისუფლებას.

მაზრების რაიონებათ დანაწილებამდი გლეხს საშუალება ჰქონდა თითქმის ყოველდღე მისულიყო სათემო აღმასკომში ამა თუ იმ საჭიროებისათვის, ხშირად კი მას არავითარი საქმე არ ჰქონდა, მაგრამაინც მიდიოდა აღმასკომში, რომ იქ ჩიბუხის წევის დროს თავისი აზრები და შთაბეჭდილებები გაეზიარებია სხვა გლეხებისათვის. ამისათვის საჭირო იყო 3—4 ვერსის გავლა, რაც მისთვის დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა.

თემის აღმასკომი თავის გარშემო იკრებდა გლეხებს და ის არა მარტო ადმინისტრატიული, არამედ ამირათ კულტურული ცენტრიც იყო.

ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლისათვის, სადაც, უმეტეს შემთხვევაში, არ არის გლეხების დამაკავშირებელი კულტურული ცენტრები, როგორც, მაგალითად, სახალხო სახლები, ბიბლიოთეკები და სხვა.

ეხლა კი—მაზრების რაიონებათ დანაწილების შემდეგ—სურათი შეიცვალა. მართალია, ადგილებზე—სოფლებში მოწყობილი იყო სოფლის საბჭოები, რომელთა საშუალებითაც ჩვენ ვფიქრობდით უფრო ახლო დავკავშირებოდით გლეხთა მასსას. მაგრამ სოფლის საბჭოები მათი ეხლანდელი სახით უუფლებო დაწესებულებები აღმოჩნდენ.

სოფლის საბჭოში—ალბათ აპარატის რაც შეიძლება უფრო გაიაფების მიზნით—ზის ერთი თავმჯდომარე, რომელსაც მწერალიც კი არ ჰყავს, რომ უბრალო მოწმობები გასცეს; ასეთების მისაღებათ გლეხი იძულებულია წავიდეს რაიონულ აღმასკომში. და იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხი იძულებულია გაიაროს 20—30 ვერსი, და ხშირათ კიდევ უფრო მეტი, რომ მიაღწიოს ხელისუფლებას.

ყველა ამის წყალობით, გლეხთა მოსახლეობის მასსა ერიდება ასე შორს სიარულს. გლეხი იმ მოსაზრებით, რომ მისთვის აუცილებელია დიდი მანძილის გავლა, ერიდება ახლათ დაბადებულთა, ახლათ დაქორწინებულთა და გარდაცვალებულთა რეგისტრაციას სამოქალაქო მდგომარეობის აქტების ჩაწერის განყოფილებაში. თვით რაიონული და სამაზრო აღმასკომებიც სოფლებიდან მეტისმეტი დაშორების გამო, ძვირათ შეიხედავენ ხოლმე სოფლებში, მათ საშუალება არა აქვთ სათანადო ყურადღება მიაქციონ ყველა სოფლებს, რის გამოისობითაც ხიდეების და გზების შეკეთება ფერხდება და საამშენებლო მუშაობა სოფლად ნელის ტემპით მიმდინარეობს.

ამრიგად, იქმნება ისეთი მდგომარეობა, რომ გლეხებს, რომლებიც მჭიდროდ დაკავშირებული არ არიან ჩვენთან და რომლებიც თავის ანაბარათ არიან მიტოვებული, შეუძლიათ დაუკავშირდენ სხვა—ჩვენთვის არასასურველ ელემენტებს, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ეს ანტი-საბჭოთა ელემენტები გზას გაიკაფავენ გლეხობისაკენ და ჩვენი მუშაობისა და აგიტაციის მაგივრად ისინი ხელს მოკიდებენ თავის ბინძურ საქმეს.

აი ამიტომ იყო, რომ ჩვენ უარი ვსთქვით ახალ რაიონულ სისტემაზე და დავუბრუნდით ძველ სათემო სისტემას; ამასთანავე ჩვენ მივიღეთ ზომები ქვედა საფეხურის საბჭოთა აპარატის საფუძვლიანათ განახლებისა და გაჯანსაღებისათვის. აუცილებელია საბჭოების გადახალისება და გამაგრება, საჭიროა დასმული იქნეს საკითხი საბჭოთა საზოგადოებრივობის განვითარების შესახებ სოფლათ. სოფლათ მუშაობის მნიშვნელოვანი საკითხია აგრეთვე კოოპერაციის მდგომარეობა.

საქართველოში და, განსაკუთრებით ზოგიერთ მის ადგილებში გლეხები დიდი ხანია უკვე შეეჩვიენ კოოპერაციას; წარსულშიაც კი საქართველო მოფენილი იყო კოოპერატიული ორგანიზაციების და წვრილი კოოპერატივების ქსელით. ვეხებით რა კოოპერაციის ეხლანდელ მდგომარეობას, ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ის ვერ არის კარგ მდგომარეობაში.

კოოპერაციის მუშაობა სოფლად არ არის საგრძნობი გლეხობისათვის, რადგან ის ნაკლებ აკმაყოფილებს გლეხების მოთხოვნილებებს და საჭიროებებს. მაშასადამე, სოფლის კოოპერატივი სამეურნეო და კულტურულ-განმანათლებელი ცენტრის მაგივრათ ზოგიერთ ადგილებში გადაიქცა ჩვეულებრივ დუქნათ და ისიც არა კარგი ღირსების დუქნათ.

კოოპერაციის მუშაობასთან დაკავშირებულია აბრეშუმის პარკის საკითხი. ქართველი გლეხობისათვის (უმთავრესათ—დასავლეთ საქართველოს გლეხობისათვის) აბრეშუმის მოყვანა მნიშვნელოვანი დამატებითი საქმიანობაა.

თითქმის არც ერთი ოჯახი არ იზოგავს ძალას და ენერგიას, რომ ხანგრძლივი შრომის შემდეგ მიიღოს ერთი-ორი ფუთი აბრეშუმის პარკი და გაყიდოს ის. პარკის გაყიდვისაგან მიღებულ ფულით, ოჯახი ფიქრობს ჩაცმა-დახურვას თითქმის მთელი წლით და თავისი აუცილებელი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

აბრეშუმის პარკის ოპერაციებს ჩვენ ვაწარმოებთ 1921 წლიდან, ე. ი. საქართველოს გასაბჭოე[illegible] აქამდი არ მოხერხდა ამ ს[illegible] დაყენება, რომ თავის დრო[illegible] დაკმაყოფილოთ გლეხები ფულ[illegible] მანუფაქტურით.

მიმდინარე წელში მონოპოლიური უფლება აბრეშუმის პარკის შეგროვებაზე გადაეცა ცეკავშირს. რომელმაც თავისი კოოპერატივების საშუალებით ჯერ კიდევ აბრეშუმის პარკის შეგროვების დაწყებამდი გამოუცხადა გლეხებს, რომ ფული თავის დროზე იქნებოდა გადახდილი, მაგრამ ეს დაპირება არ იყო სავსებით შესრულებული. აბრეშუმის პარკის ჩაბარების დროს გლეხს ფულის მაგივრათ აძლევდენ ქვითარს, ამასთანავე მან არ იცოდა, რამდენს მის ცემდენ მას, მარტო ქვითარებით კი, როგორც იცით, არ შეიძლება გლეხის დაკმაყოფილება.

ჩვენ გამოვარკვიეთ, რომ სამეგრელოს ზოგიერთ ადგილებში ფუთ პარკში აძლევდენ 10 მანეთს, სხვა ადგილებში 13 მან., დანარჩენის მიცემას კი პირდებოდენ შემდეგ, ამასთანავე გლეხებმა არ იცოდენ რამდენი ერგებოდათ მათ კიდევ.

ეს გარემოება კი აღელვებს გლეხებს და ფულების ასეთი სიმწირით მიღება უკმაყოფილებას ბადებს მათში.

ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ სერიოზული ყურადღება მივაქციოთ კოოპერაციას და გადავსინჯოთ როგორც უმაღლესი, ისე დაბალი საფეხურის მუშაკების შემადგენლობა. რაც შეეხება აბრეშუმის პარკის ოპერაციებს, ამის მონოპოლიისაგან განთავისუფლებული იქნება ცეკავშირი და მონოპოლიის უფლება უნდა დარჩეს სახელმწიფოს იმ პირობით, თუ ის შესძლებს თავის დროზე და შეუწყვეტლივ მიაწოდოს გლეხებს კუთვნილი ფული.

და თუ ამის მიღწევა შეუძლებელია, მაშინ საჭიროა სავსებით უარი ვსთქვათ მონოპოლიაზე და ეს მაინც და მაინც დიდ ზარალს არ მოგვიტანს.

მ. კახიანი

ახალი პროვოკაცია საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ

ბურჟუაზიამ შეთხზა ყალბი დოკუმენტი ვითომდა ამხ. ზინოვიევის ხელმოწერილი

ეს „დოკუმენტი"--ინგლისის ბურჟუაზიის საარჩევნო ფანდია

საბჭოთა მთავრობა მოითხოვს ინგლისის მთავრობისაგან ბოდიშის მოხდას

არავითარი ინსტრუქცია კომინტერნს ინგლისის კომპარტიისათვის არ გაუგზავნია.—„დოკუმენტი" შეთხზული იყო პოლონეთის „ოხრანკაში".—ინგლისის კომპარტიამ გამოუშვა მოწოდება.—თვით მაკდონალდ ეჭვის თვალით უყურებს „დოკუმენტის" სინამდვილეს.

ინგლისის ნოტა

ლონდონი. 27 ოქტ. ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ საბჭოთა რწმუნებულს ლონდონში გაუგზავნა ნოტა, რომელშიაც ნათქვამია:

„პატივი მაქვს მივაქციო თქვენი ყურადღება კომინტერნის აღმასკომის წერილს ინგლისის კომპარტიის სახელზე, რომელსაც ხელს აწერს ზინოვიევი. ეს წერილი შეიცავს ინსტრუქციებს ინგლისის ქვეშევრდომებისადმი აწარმოონ მუშაობა ინგლისში არსებულ წესწყობილების ძალის დასამხობად, აღნიშნული მიზნის მისაღწევად და გახრწნა შეიტანონ მისი უდიდებულესობის შეიარაღებულ ძალებში. ინგლისის მთავრობას არ შეუძლია დაუშვას ასეთი პროპაგანდა და სთვლის მას ინგლისის შინაურ საქმეებში ჩარევათ. მხოლოდ წარსული წლის 4 ივნისს საბჭოთა მთავრობამ მიიღო თავის თავზე ვალდებულება არც მატერიალური და არც სხვა სახის დახმარება არ გაუწიოს იმ პირებს, ორგანიზაციებს, სააგენტოს და დაწესებულებებს, რომელთა მიზანს შეადგენს უკმაყოფილების გავრცელება, ან ინგლისის არმიის რომელიმე ნაწილის აჯანყებისაკენ წაქეზება, საბჭოთა მთავრობამ იკისრა აგრეთვე აიძულოს თავისი თანამდებობის პირნი ხედმიწევნით და სრულიად დაიცვან ეს წესები. ინგლისის მთავრობა გთხოვთ აცნობოთ მას თქვენი მოსაზრებანი ამ საკითხზე".

ზინოვიევის სახელით დაწერილ წერილში, რომელიც დართული აქვს გრეგორის ნოტას, ნათქვამია:

„მოახლოვებულია ინგლისის პარლამენტში რატიფიკაციის მიზნით იმ ხელშეკრულების განხილვის დრო, რომელიც დადებულია ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

ინგლისის ბურჟუაზიის მიერ დაწყებული კამპანია ამ საკითხის გარშემო ამტკიცებს იმას, რომ ამ ბურჟუაზიის უმრავლესობა, რეაქციონურ [illegible]თან ერთად, ილაშქრებს ხელშეკრულების წინააღმდეგ იმ მიზნით, რათა ჩაშალოს ინგლისის და საბჭოთა კავშირის შეთანხმება. ინგლისის პროლეტარიატმა უნდა გამოიჩინოს მაქსიმალური და შესაძლებელი ენერგია ბრძოლაში რატიფიკაციისათვის ინგლისის კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომელთაც სურთ აიძულონ პარლამენტი გააუქმოს ხელშეკრულება. მუშათა პარტიის საგარეო პოლიტიკა წარმოადგენს კერზონის პოლიტიკის უშნო განმეორებას. ჩაატარეთ კამპანია მაკდონალდის საგარეო პოლიტიკის გამოსაშკარავებლად. თქვენი უკანასკნელი ანგარიშიდან სჩანს, რომ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა არმიაში სუსტია, ფლოტში სულ ცოტათი უკეთესია. სასურველია უჯრედების დაარსება ჯარების ნაწილებში, განსაკუთრებით იმ ნაწილებში, რომლებიც იმყოფებიან დიდ ცენტრებში, წარმოებებში, რომლებიც ამზადებენ სამხედრო მასალებს, და სამხედრო საწყობებში. საჭიროა, რათა უდიდესი ყურადღება მიექცეს ამ უკანასკნელებს იმ შემთხვევაში, თუ ომი დაიწყო მათი დახმარებით და ტრანსპორტის მუშებთან შეთანხმებით შესაძლებელი იქნება ბურჟუაზიის სამხედრო მზადების შეფერხება და იმპერიალისტური ომის კლასიურ ომად გადაქცევა. დღეს განსაკუთრებით საჭიროა სადარაჯოზე დგომა. ჩინეთში ინტერვენციის ცდა ამტკიცებს, რომ მსოფლიო იმპერიალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, ის ხელახლა სცდილობს აღადგინოს თავისი შერყეული მდგომარეობა და გამოიწვიოს ახალი ომი, რომლის საბოლოო მიზანს შეადგენს რუსეთის პროლეტარიატის დამარცხება, მსოფლიო რევოლიუციის ჩაქრობა და კოლონიალურ ქვეყნების დამონავება. „ომის საშიშროება", „ბურჟუაზია ეძებს ომს, ხოლო კაპიტალი ახალ ბაზრებს"—ასეთია ლოზუნგები, რომლებიც უნდა შეათვისებინოთ მასებს, რომლითაც თქვენ უნდა წახვიდეთ სამუშაოთ პროლეტარულ მასებში. ეს ლოზუნგები დაგვიახლოვებთ თქვენ მასებს, მოგცემთ საშუალებას ჩააბათ ისინი თქვენს რიგებში და წაიყვანოთ კომუნიზმის დროშის ქვეშ.

ინგლისის კომპარტიის სამხედრო განყოფილება, რამდენადაც ჩვენ ვიცით, განიცდის სპეციალისტების, ინგლისის წითელი არმიის მომავალ ხელმძღვანელების სიმცირეს. დროა იფიქროთ ასეთ ჯგუფის მოწყობაზე, რომელნიც პარტიის ლიდერებთან ერთად შესძლებდენ, აქტიურ გამოსვლების დაწყების დროს, პარტიის სამხედრო ორგანიზაციის სათავეში ჩადგომას. გადაათვალიერეთ ყურადღებით სამხედრო უჯრედების სია და გამოჰყავით მათგან ყველაზე ენერგიული და უნარიანი პირები. მიაქციეთ ყურადღება ასე თუ ისე უნარიან სამხედრო სპეციალისტებს, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით დასტოვეს სამხედრო სამსახური და რომელნიც იზიარებენ სოციალისტების შეხედულებებს. ჩააბით ისინი კომპარტიის რიგებში, თუ მათ სურთ სინდისიერათ ემსახურონ პროლეტარიატს, სურთ მომავალში ხელმძღვანელობა გაუწიონ არა ბრმა მექანიკურ ძალებს, რომლებიც ბურჟუაზიას ემსახურებიან, არამედ ნაციონალურ არმიას. მოაწყვეთ სამხედრო სექციის ხელმძღვანელი ოპერატიული შტაბი, ნუ გადასდებთ ამ საქმეს დიდი ხნით, რათა მოვლენებმა მოულოდნელათ არ მოგისწრონ თქვენ. გისურვებთ გამარჯვებას როგორც საორგანიზაციო საქმეებში, ისე თქვენს ბრძოლაში. სალამით კომუნისტურ ინტერნაციონალს აღმასკომის თავმჯდომარე ზინოვიევი, პრეზიდიუმის წევრი— მაკ-მანუსი, მდივანი—კუუსინენი".

ამხ. რაკოვსკის პასუხი

ლონდონი. 27 ოქტომ. ამ ნოტის საპასუხოდ ამხ. რაკოვსკიმ გაუგზავნა ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტროს შემდეგი ცნობა:

„მივიღე გარეშე საქმეთა სამინისტროს ნოტა 24 ოქტომბრის თარიღით, ხელმოწერილი გრეგორის მიერ, რომელზედაც მაქვს პატივი გიპასუხოთ შემდეგი:

1) შარშან მაისში მომხდარ დიპლომატიურ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ, საბჭოთა კავშირის წარმომადგენელსა და გარეშე საქმეთა სამინისტროს შორის მიღებულ იქნა პირობათ ორთავე სახელმწიფოს შორის მეგობრულ ურთიერთობის განმტკიცების მიზნით, რომ ოროავე მხარე შეეცდება მოაგვაროს ინცინდენტები, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვეს უშუალო მოლაპარაკების გზით, ხოლო ნოტების გაცვლა-გამოცვლას მიმართავდენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს მეგობრული მეთოდი არ მოიტანდა სასურველ შედეგებს. ჩემი ლონდონში ჩამოსვლის შემდეგ, გარეშე საქმეთა სამინისტრომ პირადათ დამარწმუნა მე, რომ მომავალში ჩვენ მივმართავდით ამ მიზანშეწონილ პრაქტიკას, რომლითაც შეიძლება მოსალოდნელ გაუგებრობის და კონფლიქტების თავიდან აცილება.

ამ წესის დაცვის წყალობით, ჩვენ შევსძელით მეგობრულად მოგვეგვარებია რამოდენიმე ინცინდენტი.

მაგალითისათვის მოვიგონებ იმ ფაქტს, რომ ჩემმა მთავრობამ არ მიმართა საჯარო პროტესტს და არ ისურვა კონფლიქტის შექმნა იმ არაჩვეულებრივ ინცინდენტის გამო, რომელიც ბღალავდა საბჭოთა კავშირის სასიცოცხლო ინტერესებს. ეს იყო შედეგი იმ განცხადებისა, რომელიც ერთა ლიგის კონფერენციაზე გააკეთა ინგლისის მთავრობის წარმომადგენელმა პროფესორ ჯილბერტ მორრეიმ. ეს განცხადება ეწინააღმდეგებოდა ჩვენს შარშანდელ შეთანხმებას და 8 აგვისტოს ახალ ხელშეკრულებათა დადგენილებებს, რომლებიც შეეხებოდენ ჩვენს შინაურ საქმეებში ჩაურევლობას; ის აგრეთვე არღვევდა ინგლისის მთავრობის ნოტას საბჭოთა კავშირის ცნობის შესახებ.

2) სამწუხაროდ ნოტა, რომელიც მე მივიღე გუშინ საღამოს და რომელშიაც გარეშე საქმეთა სამინისტრო აყენებს საბჭოთა კავშირის მთავრობის წინააღმდეგ ყოვლად დაუსაბუთებელ ბრალდებას იმ დროს, როდესაც ინგლისის საზოგადოებრივი აზრი სავსებით გართულია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების და ამ ორ სახელმწიფოს მომავალ ურთიერთობის საკითხებით, წარმოადგენს იმ მეთოდის უეცრად დარღვევას, რომლის შესახებ ჩვენ ერთმანეთს შევუთანხმდით.

3) რაც შეეხება გრეგორის ნოტ ში აღძრულ საკითხს, მე კატეგ რიულად ვაცხადებ, რომ ნოტასთ დართული დოკუმენტი არის ხაზ ნელი სიყალბე, ორივე ქვეყნის გობრულ ურთიერთობის განვითარ ბისათვის ხელის შეშლის მუხან თური ცდა.

რომ მიღებულ პრაქტიკიდან დახვევის მაგიერ გარეშე საქმე სამინისტროს თავიდანვე მოემარ ჩემთვის განმარტებისათვის, მაშ ადვილი იქნებოდა დამტკიცება იმ სი, რომ ის შეიქნა საბჭოთა კავში რის მტრების მხრივ მოტყუებუ მსხვერპლი.

არა თუ შინაარსი, არ აგრეთვე სათაურიც და ხელ მოწერაც დოკუმენტზე მოწ იმას, რომ ის შეთხზულ როტგამზრახველების მიერ, ლებიც კარგად არ იცნობენ კო ნისტურ ინტერნაციონალის ორ ზაციას. კომინტერნის ცირკულიარ ში მას არასოდეს არ ეწოდება „ სამე კომუნისტური ინტერნაციო ლი" იმ უბრალო მიზეზით, რომ არ სოდეს არ ყოფილა არც პირველ და არც მეორე კომუნისტური ტერნაციონალი. ხელის მოწერაც შინელი სიყალბეა. ზინოვიევი ხელს აწერს როგორც „პრეზიდ მის თავმჯდომარე", როცა ის ნამდ ლად ოფიციალურად ხელს აწ მუდამ როგორც „აღმასრულებე კომიტეტის თავმჯდომარე".

დოკუმენტის მთელი შინაარს კომუნისტური თვალსაზრისით წ მოადგენს შეკოწიწებულ უაზრობ რომლის მიზანია ამხედროს ინგლ სის საზოგადოება საბჭოთა კა ირი წინააღმდეგ, გააქარწყლ ის შრომა, რომელიც გასწია ორ სახელმწიფომ მეგობრული ურ იერთობის დასამყარებლად.

4) ამ დოკუმენტის აშკარა სიყა ბე მანთავისუფლებს მე პასუხის გა დან გარეშე საქმეთა სამინისტრ მიერ გამოტანილ დასკვნებზე, კომინტერნის მუშაობისათვის პა ხისმგებელია საბჭოთა მთავრო რადგან ეს დასკვნები ემყარება მოსაზრებაზე, თითქო დოკუმენტი ნ დვილია.

5) კატეგორიულ პრო[illegible] ხადებ ასეთი ყალბი დოკუმენტ გამოყენების გამო საბჭოთა კავშირ წინააღმდეგ, პროტესტს ვაცხად აგრეთვე ჩვენს შორის შემოღებულ წესის დარღვევის წინააღმდეგ, რო ლის მიხედვით უნდა გარჩეულ ჩვენს შორის ყველა შესაძლებე ინცინდენტები.

ამავე დროს მე იმედს გამო თქვამ, რომ ინგლისის მთავრობა დასდგამს სათანადო ნაბიჯებს, ბოროტგამზრახველთა აღმოსაჩე რომლებმაც სცადეს კონფლიქ შექმნა ორ მთავრობას შორის. ა გამორკვევა შეუძლებლად გახ მომავალში მსგავსი ინცინდენტე განმეორებას.

ექვსი წლის თავზე

29 ოქტომბერს სრულდება ექვსი წელი რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის არსებობისა. ამ ხნის განმავლობაში კომკავშირი ცალკე წრეებიდან, უზარმაზარი მომქმედი ძალა შეიქმნა.

რუსეთში მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის საფუძველი ჩაეყარა 1918 წლის პირველ ნახევარში. ოქტომბრის რევოლიუციამ მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაში გააღვიძა და გააღრმავა კლასიური შეგნება, და ხელი შეუწყო ახალგაზრდობის დარაზმვას კომპარტიასთან ერთად.

კომუნისტურმა მოძრაობამ თავი იჩინა პირველ ხანებში რუსეთის დიდ პროლეტარულ ქალაქებში, ლენინგრადში, მოსკოვში, ხარკოვში, ამიერკავკასიაში კი—თბილისში და ბაქოში.

ახლად ჩასახული წრეები რევოლიუციის ქარცეცხლში ელვის სისწრაფით ვითარდებიან. ორგანიზაციები ედება რუსეთის და ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეებს. 1918 წელში ახალგ. ჯგუფები იწვევენ 1-ლ ყრილობას. ახალგაზრდა ორგანიზაციებს ეწოდა „კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობისა".

ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ კომკავშირის ორგანიზაციებს არა მარტო ქალაქებში, არამედ სოფლებშიაც.

რევოლიუციისაგან გამოცოცხლებული ახალგაზრდობა ირაზმება კომკავშირის რიგებში და ებმება მუშათა კლასის განმანთავისუფლებელ ბრძოლაში.

რ. ა. კომკავშირი განვითარდა სამოქალაქო ომის ქარცეცხლში, რომელშიც მან ითამაშა გადამწყვეტი როლი. მან მისცა წითელ არმიას თავისი საუკეთესო ძალები. ასე ხდებოდა პირველ ხანებში მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის ორგანიზაციული დარაზმვა, გაკაჟება კონტრ-რევოლიუციის და რევოლიუციის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში

სრულიად სამართლიანად აღნიშნა, კომკავშირის მე-5 ყრილობაზე, ტროცკიმ: **„ახალგაზრდა კომუნისტური კავშირი იყო და არის წითელი არმიის ერთ-ერთი დასაყრდნობი ძალა, წითელი არმია — შეიარაღებული ახალგაზრდობაა"**-ო. ამრიგად სამოქალაქო ომის პერიოდში კომკავშირი ეზიარა მებრძოლი ბოლშევიზმის იდეიას. ამ ხნის განმავლობაში მან შემოიკრიბა თავის რიგებში საუკეთესო რევოლიუციონური ნაწილი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისა, და ამნაირად შეიქმნა ოქტომბრის რევოლიუციის გამარჯვების ერთ-ერთი საუკეთესო ძალათ.

სამოქალაქო ომის პერიოდში კომკავშირი არანაკლებ ბრძოლას აწარმოებდა ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე. მშვიდობიან აღმშენებლობითი პერიოდში გადასვლისას კომკავშირი მთელი თავისი სასიცოცხლო ძალებით, დაუზოგველი ენერგიით დგება აღმშენებლობითი ფრონტზე.

რ. ა. ლ. კ. კ. მე-3-ე ყრილობაზე მსოფლიო პროლეტარიატის ბელადმა ამხ. ლენინმა შემდეგი დარიგება მისცა კომკავშირს: „პროლეტარიატის ბრძოლის ამოცანები ჯერ კიდევ არ დამთავრებულა იმით, რომ ჩვენ ჩამოვაგდეთ მეფე, გავრეკეთ მემამულეები და კაპიტალისტები. კლასიური ბრძოლა გრძელდება, მან მხოლოდ შეიცვალა თავისი ფორმა. ეს კლასიური ბრძოლა პროლეტარიატის იმიტომაა, რომ ვერ შესძლონ ექსპლოატატორებმა ძველის დაბრუნება, რომ შეერთდეს დაქსაქსული ბნელი გლეხური მასები ერთ კავშირში. კლასიური ბრძოლა გრძელდება და ჩვენი ამოცანაა—დაუმორჩილოთ ყველა ინტერესები ამ ბრძოლას"-ო.

კომკავშირი ამ ანდერძს უკვე საგრძნობლად ანხორციელებს; ის ზრდის კომუნისტურად ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილს, ყოველწლიურად კომკავშირში შემოდის ათასობით მუშურ გლეხური ახალგაზრდობა. კომკავშირი ერთგულად ემსახურება მომავალი თაობის კლასიურ აღზრდას.

საბჭოთა აღმშენებლობის პერიოდში კომკავშირის, როგორც მასიური მომქმედი ორგანიზაციის, წინ ისმება სერიოზული ამოცანები. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანაა—ყოველდღიური პრაქტიკული მუშაობის პროცესში სწავლა.

ლენინი ახალგაზრდობას ყოველთვის შემდეგი სიტყვებით მიმართავდა: „მას ე. ი. მოზარდ თაობას შეუძლია ისწავლოს კომუნიზმი მხოლოდ მაშინ, როდესაც თითოეული შედეგი ცოდნისა, აღზრდისა და განათლებისა დაკავშირებული იქნება პროლეტარიატის ბრძოლასთან ძველი მყვლეფელი ქვეყნის წინააღმდეგ".

ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირი თავის არსებობის პერიოდში უკვე ნაყოფიერად ანხორციელებს დიდი მასწავლებლის ლენინის ანდერძს.

კომკავშირი სწავლობს—ის იწვრთნება ყოველდღიურ პრაქტიკულ მუშაობაში.

მეექვსე ყრილობაზე ამხ. ზინოვიევმა სთქვა: **„კომკავშირი სკოლაა მებრძოლი ბოლშევიზმის"**-ო. დღეს კომკავშირი ერთ-ერთი დასაყრდნობი ძალაა კომპარტიისა, მისი ღირსეული რეზერვია. კომკავშირი ყოველდღიურ საზოგადოებრივ, პრაქტიკულ მუშაობაში ღებულობს აქტიურ მონაწილეობას.

6 წლის განმავლობაში ის ერთგულად დარაჯობს ახალგაზრდობის შრომის და განათლების დაცვას. საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში გლეხური ახალგაზრდობის შვილები იზრდებიან და ვითარდებიან კომკავშირის ხელმძღვანელობით.

კომკავშირი ენერგიულად იბრძვის ეკონომიურ და კულტურულ ფრონტზე. ერთ-ერთი დამკვრელი ამოცანა, რომელიც ლენინმა დაუტოვა ახალგაზრდობას, არის წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა. ამ ფრონტზე. კომკავშირი აწარმოებს გააფთრებულ ბრძოლას.

წითელი არმიის და ფლოტის გამაგრება-განმტკიცებაში კომკავშირი დაუშრეტელი ენერგიით აწარმოებს მუშაობას. ამ დარგში 6 წლის განმავლობაში კომკავშირმა უკვე რეალურ შედეგებს მიაღწია, კომკავშირი—შეფია წითელი ფლოტის.

ამ რიგად ექვსი წლის არსებობის პერიოდში კომკავშირი ღირსეული სკოლა გახდა მომავალი თაობის, მომავალი თაობის კომუნისტურად აღზრდის. ამ ხნის განმავლობაში მან შესძლო ახალგაზრდობის ღირსეული ხელმძღვანელობა.

რ. ა. ლ. კ. კ. არსებობის ექვსი წლის თავზე მას სიამაყით შეუძლია თავისი დიდი მიღწევების დემონსტრაცია.

ბევრი ამოცანები გადასწყვიტა კომკავშირმა ამ ხნის განმავლობაში. მაგრამ მომავალში კიდევ უფრო მეტი სერიოზული და ღირსშესა ნავი ამოცანები უნდა გადასწყვიტ

ერთ-ერთი მთავარი ამოცანა კ კავშირის წინაშე არის თავისი შაობის სიმძიმის ცენტრის სოფლ გადატანა სოფლად. მუშაობის გ ლიერება, გლეხკაცობის ეკონომიუ და კულტურული მდგომარეო გაუმჯობესება—აი რა ლოზუ უნდა იმუშაოს მან.

მეექვსე ყრილობაზე რ. ა. კ. კ. ლოლენინის სახელწოდება. მომავა კომუნისტურმა კავშირმა ისე, გორც ყოველთვის, უნდა ისწავ ლენინიზმი და მით შეიარა მოზარდი თაობა განმანთავის ბელი ბრძოლებისათვის. „საქმე ხელწოდებაში არაა"—აი რა დაიმახსოვროს ღრმად თითო კომკავშირელმა. მხოლოდ ლენი მის სწავლით შესაძლებელი გახ ღირსეული კადრის მიცემა კომპ ტიისათვის.

ეკონომიურ და კულტუ ფრონტებზე კომკავშირმა უნდ ათკეცოს თავისი მუშაობა.

წერა-კითხვის უცოდინარობის კვიდაციის საქმეში კომკავშირმა ყოფიერ შედეგებს მიაღწია. ვალში ამ მიმართულებით მეტი გია და შრომაა დასახარჯი, დიდი მასწავლებლის, ლენინ დერძი იქნას განხორციელებულ ამოცანების გადაწყვეტას კომკავ შესძლებს ყოველდღიური სწავ და ბრძოლით.

ახალგ. ლენინელთა კომკავ დაუღალავი შრომით პრა მუშაობაში გამოხქედს ლ რაზმს კომუნისტური პარტიის

ა. კეკელ

ამხ. ლიტვინოვის დეპეშა

ლონდონი. 27 ოქტომბერი. გრეგორის ნოტაზე საპასუხოდ წინადადებას გაძლევთ თქვენ საბჭოთა მთავრობის სახელით განაცხადოთ შემდეგი:

„საბჭოთა მთავრობა, რომელსაც მრავალჯერ განუცხადებია, რომ ის არ არის პასუხისმგებელი კომინტერნის ამა თუ იმ ნაბიჯებისათვის, რომელიც ამჟამად ამავე განცხადებების ნიადაგზე რჩება და ამიტომ ჯერ არ [illegible] ბატონ გრეგორის მიერ ხელმოწერილი არაჩვეულებრივი ნოტის არც კილოს და არც ფორმალურ მხარეს,—კატეგორიულად აცხადებს, რომ ვითომ და კომინტერნის წერილი, რომელიც საფუძვლად დაედო ნოტას, წარმოადგენს უსირცხვილო სიყალბეს, რომლის მიზანია ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჩაშლა და მეგობრულ ურთიერთობის გაუარესება საბჭოთა კავშირსა და ინგლისს შორის.

რადგან ეს სიყალბე მიჩნეული იქნა ოფიციალურ დოკუმენტად, საბჭოთა მთავრობა მოითხოვს სათანადო ბოდიშის მოხდას და პასუხისგებაში მიცემას იმ კერძო, თუ ოფიციალური პირების, რომელთაც წილი უდევთ ამ სიყალბეში.

აღნიშნული დოკუმენტის სიყალბის ნათელსაყოფად, საბჭოთა მთავრობა, რომელიც ითვალისწინებს სერიოზულ შედეგებს, რომლებიც შეიძლებოდა მოჰყოლოდა ამ სიყალბეს ორთავე სახელმწიფოსათვის, კატეგორიულად მოითხოვს მიენდოს მიუდგომელ სამედიატორო სასამართლოს იმ ფაქტის გამორკვევა, რომ ეგრედ წოდებული წერილი კომინტერნისა 15 სექტემბრის თარიღით წარმოადგენს სიყალბეს“.

ამხ. რიკოვის განცხადება

მოსკოვი, 28 ოქტ. საბჭოთა კავშირის ცაკის 27 ოქტომბრის სხდომაზე ამხ. რიკოვმა დაახასიათა უკანასკნელი წლის განმავლობაში შექმნილი საერთაშორისო ურთიერთობა, რის შემდეგ შეეხო ვითომდა კომინტერნის მიერ გაგზავნილ წერილს და სთქვა:

უცნაური ნოტა.

— 25 ოქტომბერს ჩვენ მივიღეთ უცნაური ნოტა, რომელსაც თან ახლდა ის წერილი, რომელსაც აწერენ ზინოვიევს, როგორც კომინტერნის თავმჯდომარეს. ნოტა 4 საათზე გადეცა ამხ. რაკოვსკის და 6 საათზე [illegible] გამოქვეყნებული იყო ინგლისის გაზეთებში.

პასუხისმგებლობის საკითხი.

[illegible] მთავრობა რედაქციას არ უკეთებს კომინტერნის წერილებს და ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ვიკისროთ პასუხისმგებლობა იმ მიწერ-მოწერისათვის, რომელსაც აწარმოებს კომინტერნი კომპარტიებთან. კომპარტიების საერთაშორისო გაერთიანება არ არის ერთად-ერთი გაერთიანება, რომელსაც იცნობს ევროპა. არის მეორე ინტერნაციონალიც, რომელიც იმყოფება ლონდონში.

მე არ მგონია, რომ ჩვენ გვქონდეს უფლება მოვთხოვოთ ინგლისის მთავრობას თუ გინდ იმ პერიოდშიაც კი, როდესაც მის შემადგენლობაში შედიოდა ლორდი კერზონი, რომ უკანასკნელი პასუხისმგებელი ყოფილიყო თვითეული იმ წერილის რედაქციისათვის, რომელსაც მეორე ინტერნაციონალი აშკარად თუ ფარულად უგზავნიდა რომელიმე პარტიას.

აშკარა სიყალბე.

მაგრამ ამჟამად საკითხი მდგომარეობს არა პასუხისმგებლობაში კომინტერნის მიწერ-მოწერისათვის, არამედ იმაში, რომ ასეთი წერილი კომინტერნის სახელით მის თავმჯდომარეს ზინოვიევს არასოდეს არ გაუგზავნია. ჩვენ საქმე გვაქვს აშკარა [illegible] თავხედურ სიყალბესთან იმ დროს, როდესაც ინგლისში გაჩაღებული საარჩევნო ბრძოლაა; ბრძოლის უკეთეს საშუალებების და პატიოსან არგუმენტების უქონლობის გამო ამ ყალბ დოკუმენტს იყენებს ინგლისის მთელი ბურჟუაზიული პრესა, რომ ბრძოლა აწარმოოს მუშათა პარტიის, საბჭოთა კავშირის და ჩვენსა და ინგლისს შორის დადებულ ხელშეკრულების წინააღმდეგ.

მოხელე გრეგორი

[illegible] გარემოებათა გამო, ჩვენ მიერ მიღებულ ნოტას ხელს აწერს არა მაკდონალდი და არა პონსონბი, არამედ გარეშე საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი მოხელე გრეგორი. ეს ფაქტი იძლევა ერთგვარ იმედს იმისას, რომ ნოტა შედგენილი იყო და გადმოგვეგზავნა ჩვენ იმ ხალხის დაუკითხავათ, რომლებთანაც ჩვენ გულწრფელათ ვმუშაობდით ურთიერთ დამოკიდებულების გასაუმჯობესებლათ ორთავე სახელმწიფოს შორის.

სიყალბის მიზანი

ამ ყალბ წერილს ეხლა იხილავს მთელი საერთაშორისო პრესა და მუშათა პარტიის და საბჭოთა კავშირის მტრები ინგლისში სცდილობენ მოიყენონ ის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი არგუმენტი ინგლისის მუშათა პარტიის, კომპარტიის და ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების წინააღმდეგ.

არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ სიყალბის არაპირდაპირი მიზანი იყო იმ ურთიერთობის ჩაშლა, რომელიც ეხლა მყარდება ჩვენსა და საფრანგეთს შორის.

საარჩევნო ფანდი.

არჩევნები ინგლისში დანიშნულია 29-სათვის. 25-ს ამ წერილს აქვეყნებს მთელი საერთაშორისო პრესა. ამ თვის დამლევს არა უგვიანეს შემდეგი თვისა ჩვენ იმედი გვაქვს, რომ დადებითად გადავწყვეტთ საკითხს ჩვენი და საფრანგეთის ურთიერთობის შესახებ.

ინგლისის ეხლანდელ არჩევნებში საბჭოთა კავშირის და ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების საკითხი ერთ-ერთი მთავარი პუნქტია მთელი საარჩევნო დისკუსიის. საკითხი მეგობრული ურთიერთობის დამყარების შესახებ მსოფლიოში პირველ საბჭოთა რესპუბლიკასთან დასმულია მთელი თავისი სიგრძე-სიგანით ინგლისის ყველა საარჩევნო ტრიბუნაზე.

ბინძური საშუალება.

ის ფაქტი, რომ ინგლისის მუშათა პარტიის და საბჭოთა კავშირის მტრებმა მიმართეს უაზრო და თავხედურ სიყალბეს, ამტკიცებს იმას, რომ ამაზე უფრო პატიოსნური არგუმენტები უკვე აღარ მოიპოვება ინგლისის კონსერვატიულ და ლიბერალურ პარტიების არსენალში.

ასეთ სიყალბეს არაერთხელ მიმართავდენ ბურჟუაზიული პარტიები საბჭოთა კავშირის მიმართ, მაგრამ პირველი შემთხვევაა, რომ ეს სიყალბე ასე გაბედულათ იქნა გამოყენებული და პირველი შემთხვევაა რომ ეს სიყალბე საბაბი გახდა ოფიციალური ნოტის გამოგზავნისათვის ჩვენდამი მეგობრულათ განწყობილ მთავრობის მხრიდან.

ბინძური მიზანი

ეჭვს გარეშეა, რომ რეაქციონური ბურჟუაზიული [illegible] სცდილობს აამხედროს ევროპის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

პოლემიკა, რომელიც დაიწყო ამ ყალბი წერილის გარშემო, ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი მტრები გვყავს დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ პარტიებს შორის, ის ააშკარავებს იმ გააფთრებულ ბრძოლას, რომელიც სწარმოებს დასავლეთ ევროპაში იმ საკითხის გარშემო, თუ როგორი დამოკიდებულება იქონიონ საბჭოთა კავშირთან: მეგობრული თუ მტრული.

მხოლოდ სიტყვები.

იმ პირობებში, როდესაც სწარმოებს ჩვენი სამეურნეო ცხოვრების ზრდა და მჭიდრო კავშირის დამყარება მუშებსა და გლეხებს შორის, ყველა ის მქუხარე სიტყვები, რომლებიც გაისმის ბურჟუაზიული პარტიების მხრიდან და რეაქციონურ მოღვაწეთა ტრიბუნიდან, მხოლოდ სიტყვებათ დარჩება.

მეგობართა დახმარებით.

საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში ჩვენი წარმატების მთავარი საწინდარია საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცება და გაძლიერება.

ეხლა, როდესაც ხელახლა სცდილობენ დასავლეთის ევროპის მტრული ძალების მობილიზაციას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მე მივმართავ ცაკის სესიას თხოვნით ამ თავდასხმას უპასუხოს მტკიცეთ გაერთიანებით, მუშათა და გლეხთა მასსების ენერგიული მუშაობით და ჩვენი კავშირის სამეურნეო სიძლიერის გადიდებით.

ამხ. ზინოვიევის წერილი

ლონდონი. 27 ოქტომბ. ინგლისის [illegible]უნიონების გენერალურ საბჭოს [illegible] ამხ. ზინოვიევმა გაგზავნა [illegible] შინაარსის დეპეშა:

„[illegible] წოდებული წერილი ეგრედ წოდებულ კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმისა, რომელიც [illegible]რილია 15 სექტემბერს და ვი[illegible] და ხელმოწერილი ჩემ მიერ, [illegible]მოადგენს, რასაკვირველია, სა[illegible] სიყალბეს. არც ყოფილა და [illegible] შეიძლება ყოფილიყო მსგავსი წერილი.

[illegible]ფიკაცია ამ წერილისა ისეთი [illegible], რომ ბრიტანეთის საგარეო [illegible] სამინისტროს ყოველი სა[illegible] განათლებული მოხელეც კი [illegible] შენიშნავდა მის სიყალბეს. [illegible] იუზის მიერ მოხვეჭილი [illegible] გერაგენი“ ინგლისის ზო[illegible] წარჩინებულ მოსვენებას არ [illegible] რომ ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე გვაქვს ყველაზე უხეშ საარჩევნო ფანდთან. თავის დროზე მინისტრ იუზს წინადადება მიეცით დათანხმებულიყო სადიატორო სასამართლოზე, სადაც უნდა გამგვორკვეია მისგან წამოყენებული „საბუთების“ სინამდვილე. მან უარი განაცხადა ამ წინადადებაზე, რადგან ეშინოდა, რომ დამტკიცდებოდა სრული სიყალბე ამ „საბუთებისა“

„ჩვენ მზადა ვართ ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს უფრო მეტიც მოვახსენოთ: დეე ტრედ-იუნიონების გენერალურ საბჭოს საგანგებო კომისიამ, ან იმ დელეგაციამ, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება, დაუყოვნებლივ გამოარკვიოს ამ დოკუმენტის სინამდვილე. ამგვარი კომისიის გადაწყვეტილებას ჩვენ მივიღებთ როგორც საბოლოოს

ამხ. ზინოვიევის განცხადება

მოსკოვი. 28 ოქტ. უცხოეთის პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ინგლისის მიერ გამოგზავნილ ნოტის შესახებ ამხ. ზინოვიევმა განაცხადა:

მარცხი მოუვიდათ.

„ჩემი სახელით გამოქვეყნებული წერილი 15 სექტემბრის თარიღით სრულ სიყალბეს წარმოადგენს პირველიდან უკანასკნელ სიტყვამდე.

დავიწყოთ სათაურიდან. იმ ორგანიზაციის, რომლის თავმჯდომარედაც მე ვარ, არას დროს ეწოდებოდა „მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომი“. მისი ოფიციალური სახელწოდებაა: „კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომი“.

აგრეთვე სწორი არ არის ხელის მოწერაც: „პრეზიდიუმის თავმჯდომარე“. ფალსიფიკატორს თარიღიც ვერ აურჩევია შესაფერი. 15 სექტემბერს მე ვიმყოფებოდი სამკურნალოთ კისლოვოდსკში და არავითარ ოფიციალურ წერილებზე ხელის მოწერა არ შემეძლო.

მასში ბევრი სისულელე.

აღნიშნული დოკუმენტის სიყალბე კიდევ უფრო აშკარავდება „დოკუმენტის“ შინაარსის შესწავლის დროს. თავისთავად ცხადია, რომ მთელი მისი შინაარსი თავიდან ბოლომდე სისულელეა. არავითარი სამხედრო სექცია ინგლისის კომპარტიაში ჯერ არ არსებობს. „ნიჭიერ სამხედრო სპეციალისტების“ გამოყენების საკითხი ინგლისის კომპარტიას ჯერ-ჯერობით შეუძლია გადადოს. მას უფრო მნიშვნელოვანი ამოცანები აქვს გადასაწყვეტი —ინგლისის მუშების უმრავლესობის მიმხრობა აგიტაციის და მარქსიზმის იდეების პროპაგანდის საშუალებით.

ყალბი [illegible]

„კომუნისტურ პარტიის სამხედრო სექციაში, რამდენადაც ჩვენ ვიცით, გარდა ამისა შეიმჩნევა ინგლისის წითელი არმიის მომავალ ხელმძღვანელების, სპეციალისტების ნაკლებობა“,—ნათქვამია წერილში. ეს ყალბი ამბავი საქმით მეტისმეტად უველურია. ყველამ კარგად იცის, რომ ინგლისელმა კომუნისტებმა უნდა იზრუნონ დღეს უფრო გადაუდებელ საქმეებზე, ვიდრე „ინგლისის წითელი არმიის“ შექმნაა.

კომპარტიის ამოცანები ინგლისში

ინგლისის კომპარტია, რომელიც ემყარება „უმცირესობის მოძრაობას“ პროფკავშირებში, მუშაობს იმისათვის, რათა კომუნისტური ინტერნაციონალის იდეები პროპაგანდის საშუალებით გაავრცელოს ინგლისის მუშათა მასსებში. ეჭვი არ ეპარება იმაში, რომ ინგლისის კომპარტია აკეთებს ამ დიდ საქმეს დიდი წარმატებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბურჟუაზია მის წინააღმდეგ ბრძოლის დროს არ მიმართავდა ისეთ ექსტრა-ორდინალურ საშუალებას, როგორიც ყალბი დოკუმენტის შედგენაა.

„დეილი მეილის“ როლი

როგორც სჩანს, ინციდენტში უდიდესი როლი ითამაშა გაზეთ „დეილი მეილი“-მ. დეპეშა გვაუწყებს: დოკუმენტის ასლი ინახებოდა „დეილი მეილის“ რედაქციაში და ჩვენ ვალდებულათ ჩავთვალეთ თავი გამოგვექვეყნებია იგი. ჩვენ დაუგზავნეთ ასლები ლონდონის სხვა გაზეთებს გუშინ დილით, ცოტა უფრო გვიან გარეშე საქმეთა სამინისტრომ გადასწყვიტა გამოექვეყნებია ეს დოკუმენტიო“. ცხადია, რომ „დეილი მეილის“ რედაქციას წილი უდევს ამაში.

რათ სჭიროდათ სიყალბე

კომინტერნის აღმასკომის ყალბი წერილის „გამომჟღავნება“ მოხდა იმ ვარაუდით, რათა ჩვენი პასუხი არ მისვლოდათ თავის დროზე, რადგან არჩევნებამდე დარჩა სულ ორიოდე დღე.

ძნელი არ არის გაგება იმისი, თუ რისთვის მიმართეს ლიბერალურ კონსერვატიულ ბლოკის ლიდერებმა ისეთ საშუალებას, როგორიც ყალბი დოკუმენტის შედგენაა.

როგორც სჩანს, მათ იმედი ჰქონდათ იმისი, რომ უკანასკნელ წუთში, არჩევნების წინ, გამოიწვევდენ არევ-დარევას იმ ამომრჩევლების რიგებში, რომლებიც გულწრფელად თანაუგრძნობენ ინგლის - საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

მაგრამ უფრო ძნელია გაგება იმისა, თუ რატომ ისარგებლა ასეთი სიყალბით ინგლისის გარეშე საქმეთა სამინისტრომ, რომელსაც დღემდის ხელმძღვანელობს მაკდონალდი.

ჩვენი წინადადება.

ჩვენის მხრივ ჩვენ წინადადება მივეცით, რათა მთელი ეს საქმე ჩვენი ყალბი წერილის შესახებ გადასცენ გამოსაძიებლათ ინგლისის პროფკავშირებს იმ პირობით, რათა ინგლისის პროფკავშირების გენერალურ საბჭოს მიერ დანიშნულმა კომისიამ გამოითხოვოს ყველა დოკუმენტები და გამოიტანოს თავისი გადაწყვეტილება, რომელსაც ჩვენ უდავოთ ჩავსთვლით.

ასეთი წინადადებით ჩვენ იმედი გვაქვს დაუმტკიცოთ ინგლისის მუშებს და საერთოდ ყველა ცოტად თუ ბევრად მიუდგომელ მოქალაქეებს ინგლისში, რომ ჩვენ არ გვაშინებს ამ საქმის გამოძიება და რომ ის „დოკუმენტი“, რომელსაც ჩვენ გვაწერენ, შეთხზული იყო.

პანების ბინძური ხელი.

დღეს ჩვენ მივიღეთ ცნობები საკმაოდ საიმედო წყაროებიდან იმის შესახებ, რომ წერილი შეთხზულია პოლონეთის წრეებში.

როგორც სჩანს, პოლონეთში მუშაობს ისეთ დაუზარელ პირთ ჯგუფი, რომლებიც, ალბათ, ახლოს დგანან პოლონეთის კონტრ-დაზვერვასთან. ეს ჯგუფი აწვდის ამგვარ „დოკუმენტებს“ უცხოეთის მთავრობებს, რომლებსაც ასეთი დოკუმენტები ესაჭიროებათ.

ჩვენი მტრების „ხელობა“.

საკმარისია ევროპის ან ამერიკის რომელიმე ბურჟუაზიულ სახელმწიფოებრივ მოღვაწეს, ვსთქვათ, იუზს, ჩავარდეს გაჭირვებულ მდგომარეობაში, რომ მაშინვე მიაწოდონ მას კომინტერნის აღმასკომის „წერილი“. ამ „წერილს“ დიდის ამბით აქვეყნებენ ყველას საყურადღებოთ განსაზღვრულ ბანკის პრესა სტეხავს შესაფერ განგაშს

მოახლოვებულია საპარლამენტო არჩევნები გერმანიაში. ეს იქნება საშინელი არჩევნები იმ მხრივ, რომ ბატონ სოციალ-დემოკრატების გულის მოსაგებად, მთავრობამ ციხებში და კატორღაში გაგზავნა კომუნისტური პარტიის თითქმის მთელი შტაბი და კომუნისტებს თანაგრძნობი ათასი საუკეთესო მუშა.

ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუ გერმანიაში არჩევნების დაწყების წინ ესა თუ ის შავრაზმული გაზეთი, ან გერმანიის ესა თუ ის ბურჟუაზიული მინისტრი აგრეთვე სწორედ მოხდენილ დროს მიიღებს ვინმესაგან „კომინტერნის აღმასკომის“ რომელიმე წერილს, დაწერილს იმავე კილოთი, როგორც ეს საჭიროა კომუნიზმის მტრებისათვის.

მაგრამ ევროპის და ამერიკის სახელმწიფო მოღვაწეებს უნდა ახსოვდეთ, რომ შეთხზულ წერილებით ხშირი სარგებლობა გამოიწვევს იმას, რომ სიყალბეთა ასეთი იარაღი საბოლოოდ დაბლაგვდება.

კომპარტიის პასუხი

ლონდონი. 27 ოქტ. ინგლისის კომპარტიამ ტრაფალგარ-სკვერში მოაწყო მასიური მიტინგი, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 5000 კაცმა.

მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც აღშფოთებას და პროტესტს გამოსთქვამს სიყალბის და საბჭოთა კავშირზე თავდასხმების გამო. რეზოლიუცია მოითხოვს, რომ მთავრობამ უკან წაიღოს თავისი ნოტა, აღიაროს საბჭოთა მთავრობისათვის წარდგენილი ბრალდების უსაფუძვლობა და დაითხოვოს ინციდენტისათვის პასუხისმგებელი მოხელეები.

ინგლისის მუშათა პარტიის განცხადება

ლონდონი 27 ოქტომბერი. ინგლისის მუშათა პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელიც უარყოფს ცნობას, თითქოს მთავრობას განეხილოს წერილი თითქოს ის დაიჭირეს ფოსტაში, გადაიღეს ფოტოგრაფიულად და შემდეგ ჩვეულებრივი მიზნით გადასცეს კომუნისტებს. ამ განცხადებაში უარყოფილია, აგრეთვე, თითქოს მუშათა პარტიის კანდიდატებს დაურიგდათ ინსტრუქციები, რომლის მიხედვით ისინი არ უნდა შეხებოდენ თავიანთ სიტყვებში ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ საკითხი დოკუმენტის სინამდვილის თუ სიყალბის შესახებ არ შეიძლება გადაიჭრეს არჩევნების დამთავრებამდე. ნოტის სერიოზული კილო, ნათქვამია განცხადებაში, საბოლოოდ აცლის ნიადაგს მტკიცებას, თითქოს მთავრობა იმყოფებოდეს კომუნისტების გავლენის ქვეშ.

მუშათა პარტიაში

ლონდონი, 27 ოქტ. მუშათა პარტიის წრეების მეტი ნაწილი დარწმუნებულია, რომ დოკუმენტი შეიცავს სიყალბეს. მუშათა პარტიის პასუხისმგებელ ჟურნალისტების ფართო ჯგუფის კრებაზე არც ერთს დამსწრეთაგანს არ უთქვამს, რომ დოკუმენტი ნამდვილი არის.

ლონდონი. 27 ოქტომბერი. „დეილი ჰერალდი“ სწერს: ბურჟუაზიულ პარტიებს რომ მცირეოდენი სინდისი ქონოდათ, მათ სიამოვნებით უნდა მიეღოთ ის ცნობა, რომ მაკდონალდი აშკარად ყალბ დოკუმენტს არ მოეკიდა ირონიული ზიზლით. ისინი სიამოვნებით უნდა შეხვედროდენ მაკდონალდის ნოტას, რომელიც მოითხოვდა განმარტებას საბჭოთა კავშირისაგან. ამ ნოტის გაგზავნა იყო მისი მოვალეობა. მაგრამ ეს არ ამართლებს უხეშ, უზრდელურ ნაბიჯს, რომელიც გადასდგეს გარეშე საქმეთა სამინისტროს მოღვაწეებმა აღელვების ან, შესაძლებელია, სხვა მოსაზრების გამო. მათ უთხრეს, რომ „დეილი-მეილს“ განზრახული აქვს დოკუმენტის გამოქვეყნება, მაგრამ განა ლორდ - როტერმირის (საგაზეთო ტრესტის მეთაური.) მონაწილეობა ამ საქმეში, საკმაო არ იყო იმისათვის, რომ ფრთხილად მოჰკიდებოდენ ამ საქმეს? მათ უნდა ეპასუხათ გერცოგ ველინგტონის ცნობილი ფრაზით: „გამოაქვეყნეთ და იყავით წყეული“. მათ სრულიად არ გაითვალისწინეს თუ როგორი დიპლომატიური უზრდელობა იყო ნოტის გამოქვეყნება მანამდე, სანამ არ ყოფილა მიღებული პასუხი. ყველაფერმა ამან ნათელი უნდა მოჰფინოს, როგორც ამ სიყალბის წარმოშობას ისე იმ როლს, რომელიც ითამაშეს ამ საქმეში ლორდ-როტერმირმა და კონსერვატიული პარტიის ოფიციალურმა პირებმა, საერთოთ კი ეს ისტორია მუშათა პარტიას მოუტანს უფრო მეტ სარგებლობას ვიდრე ზარალს.

მაკდონალდის სიტყვა

ლონდონი. 27 ოქტ. მაკდონალდი გამოვიდა სიტყვით კარდიფში. როცა შეეხო ვითომდა ზინოვიევის მიერ შედგენილ წერილს, მან განაცხადა:

მჭლე საკენკი.

„საარჩევნო კამპანია დაიწყო ერთი მჭლე საკენკით—კემპბელის საქმით—და როგორც ეტყობა, უნდა დაამთავრონ იგი მეორე საკენკით—„ბოლშევიკური შეთქმულობით“.

ყველა გაზეთები სწერენ ამ საქმის შესახებ. მაგრამ ყოველი სტრიქონი იმას ამტკიცებს, რომ მათ არაფერი არ იციან ამ საქმის შესახებ.

საქმის მსვლელობა.

ხსენებული წერილი მიღებულ იყო საგარეო საქმეთა სამინისტროში 10 ოქტომბერს, სწორედ ორი დღის შემდეგ, რაც მთავრობა დამარცხდა პარლამენტში. 14 ოქტომბერს იგი გადაეცა შესაფერ დეპარტამენტს. 15 ოქტომბერს—გადმომიგზავნეს მე მანჩესტერში. მე მივიღე იგი 16 ოქტომბერს და გავეცი განკარგულება, რომ ეღონონ ყველაფერი იმის გამოსარკვევად—ეს წერილი მართლა ნამდვილია თუ ყალბი. ამასთანავე მე გადაწყვეტილი მქონდა, თუ ის ნამდვილი გამოდგებოდა, დაუყოვნებლივ გამომექვეყნებია იგი. ამასთანავე მე გავეცი განკარგულება: ერთდროულად დოკუმენტის სინამდვილის გამორკვევასთან ერთად დამზადებიათ რაკოვსკისთან გასაგზავნი ნოტის პროექტი. ეს იმ შემთხვევისათვის, თუ სინამდვილე დამტკიცდებოდა—დაუყოვნებლივ გაგვეგზავნა პროტესტი საბჭოთა მთავრობისათვის.

მაკდონალდის დაუკითხავად

„ჩემი განკარგულება მიღებულ იყო დეპარტამენტში 17 ოქტომბერს. 21 ოქტომბერს მე გადმომიგზავნეს აბერავონში რაკოვსკისთან გასაგზავნ წერილის პროექტი. ამ დროს მე აღარ ვიყავი აბერავონში და პროექტი მივიღე მხოლოდ 23 ოქტომბერს. 24 ოქტომბერს მე გადავსინჯე პროექტი, ცოტა შევასწორე იგი და გადავუგზავნე უკან ლონდონში. მე ვფიქრობდი, რომ ამ წერილს ისევ გადმომიგზავნიდენ ხელის მოსაწერად, ზინოვიევის წერილის სინამდვილის ყველა დამამტკიცებელ საბუთებთან ერთად. მაგრამ 25 ოქტომბერს ყველაფერი ეს გაუგზავნიათ პრესაში.

მე არავიზე არა ვჩივი. საგარეო საქმეთა სამინისტრომ და ჩემმა ყველა კოლეგებმა კარგათ იცოდენ, რომ მე არ მივცემდი ასეთი პროპაგანდის ნებას, აგრეთვე იცოდენ ჩემი მტკიცე გადაწყვეტილება, რომ მე ვდგევარ ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების ნიადაგზე და იფიქრეს, რომ იმოქმედებენ ჩემი სურვილების თანახმად თუ დაუყოვნებლივ გამოაქვეყნებდენ ამ საქმეს. ისინი კეთილსინდისიერათ იყვენ დარწმუნებული, რომ ხსენებული დოკუმენტი ნამდვილია და მოქმედებდენ ამ რწმენის [illegible]. მაგრამ თუ ყველაფერი ეს მოხდა სწრაფად, მაშ რაღაში ვართ ჩვენ დამნაშავე? რატომ გაზეთები არ გვამტყუნებენ, რომ ერთობ ჩქარა ვიმოქმედეთ? ეს ალბათ იმიტომ, რომ ეს ბრალდება მათ [illegible] ოდნადაც ვერ გაამრავლებს ჩვენ მოწინააღმდეგეთა ხმას.

კონსერვატორების და ლიბერალების ბლოკი.

იმ დღიდან, როცა გავიგე ამ წერილის არსებობა, მე ლონდონში აღარა ყოფილვარ, სულ გაიარა 9 დღემ ამ წერილის მიღებიდან, მის გამოქვეყნებამდე. ვნახოთ ერთი რაში გვამტყუნებენ ჩვენ. რა სურთ კონსერვატორებს და ლიბერალებს? ეს რომ მომხდარიყო ლიბერალურ ან კონსერვატიულ მთავრობის დროს, მაშინ მთელი კვირები დასჭირდებოდა, რომ გაევლო ყველა საფეხურები ამ საქმეს. სისწრაფე და სიმტკიცე ჩვენის მოქმედებისა საუკეთესო ნიმუშია ჩვენი საგარეო საქმეების წარმოების მეთოდისა.

გახრწნილების გუდა.

თუ ზინოვიევის წერილი სიყალბეა, მაშინ ეს ამტკიცებს, თუ რა გახრწნილობა გვარტყია ჩვენ გარშემო. თუ იგი სინამდვილეა, მაშინ დარწმუნებული უნდა იყვეთ: სანამ არსებობს მუშათა მთავრობა და სანამ მეც სათავეში ვუდგევარ ამ მთავრობას, იგი სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევს უცხო სახელმწიფოების ყველა ცდებს, რომლებიც მიმართული იქნებიან ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევისაკენ.

მორიგი სიყალბე.

პრესაში მოყვანილია საიდუმლო ისტორიები იმის შესახებ, თუ როგორ გაიარა ფოსტაში ამ წერილმა და როგორ გადაიღეს იგი ფოტოგრაფიულად. ყველაფერი ეს სიყალბეა. ამბობენ იმასაც, რომ წერილი განხილული იყო მინისტრთა საბჭოს მიერ.

ესეც სიყალბეა, რადგან წერილი მიღებული იყო საგარეო სამინისტროში მას შემდეგ, როცა შესწყდა მინისტრთა საბჭოს სხდომები—საარჩევნო კამპანიის გამო. ყველაფერი ეს არის უკანასკნელი წუთის ხრიკები, მანამ არჩევნები დაიწყებოდეს. რომ დაგაშინოთ თქვენ და ქვეყანა გახვიოთ ეჭვების ბურუსში არჩევნების დღეს. მაგრამ ეს არ არის სრული ისტორია.

ჩვენც ეს გვინდა.

სვანსში გამოსვლის დროს მე არ შემეძლო შევხებოდი ამ საკითხს იმიტომ, რომ მოველოდი დამატებით ინფორმაციას ლონდონიდან. მე განზრახული მაქვს ბოლომდის გამოვიძიო ეს საქმე და როგორც კი ლონდონში დავბრუნდები, პირველ რიგში შევეცდები გამოვარკვიო, როგორ დაიწყო ეს საქმე და ვინ მოაწყო. ლონდონის გაზეთებს კერძოთ „დეილი მეილს“, რომელიც განთქმულია თავისი ყალბი ინფორმაციით, ჰქონდათ ამ წერილის ასლი. ეს გაზეთი ეხლა იკვეხნის იმას, რომ მან გვაიძულა ჩვენ გამოგვექვეყნებია ეს წერილი.

საარჩევნო ფანდები.

მაგრამ როგორ მიიღო ამ გაზეთმა წერილის ასლები? მე მაცნობებენ აგრეთვე, რომ კონსერვატიულ პარტიის ცენტრალური დაწესებულებები ავრცელებდენ ხმას, რომ არჩევნების წინ ისინი მოგვიწყობენ აფეთქებას.

პოლიტიკური შეთქმულება.

ზინოვიევის წერილი დაკავშირებულია ამ ხმებთან. ჩემთვის საინტერესოა ვიცოდე როგორ მიიღეს ეს წერილი კონსერვატიული პარტიის ცენტრალურმა დაწესებულებებმა.? შეიძლება მათ და „დეილი მეილმა“ ხელი შეუწყვეს რათა წერილი მიღებული ყოფილიყო ინგლისში.

ამ წერილის შედგენა შეიძლებოდა ყველგან, სადაც გნებავთ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია მოვიშოროთ ეჭვი, რომ ყველაფერი ეს არის პოლიტიკური შეთქმულება.

იბადება კითხვა, როგორ გავლენას მოახდენს ყველაფერი ეს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულებაზე. ვრცელდება ხმები, თითქოს ჩვენ ვუბრძანებინოს ჩვენი კანდიდატებისათვის არ ახსენონ თავიანთ სიტყვებში ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება. ვინ ავრცელებს ამ ხმებს?

საკითხი ჯერ გადაწყვეტილი არ არის. და სანამ საქმე ბოლომდე არ იქნება მოყვანილი, უმჯობესია დარჩეს იგი მთავრობის ხელში.

კომპარტიის კამპანია

ლონდონი. 28 ოქტ. ინგლისის კომპარტიამ მიიღო ზომები პრესაში ატეხილ განგაშის წინააღმდეგ საბრძოლველად. კომპარტიამ გაგზავნა „დეილი ჰერალდის“ და აგრეთვე სხვა გაზეთების რედაქციებში განცხადება, რომელიც გაზეთების უმრავლესობამ დაბეჭდა.

კომპარტიის ცეკამ დაუგზავნა ყველა პარტიულ ორგანიზაციას დეპეშა, რომელშიაც მას მოჰყავს დოკუმენტის სიყალბის დამამტკიცებელი ფაქტები.

დეპეშაში ნათქვამია:

„გარეშე საქმეთა სამინისტროს მოხელეები, რომელნიც წინადაც ყალბი დოკუმენტების საშუალებით უწევდენ დახმარებას კერზონს და მასთან ერთად საბოტაჟს უცხადებდენ საბჭოთა რუსეთს, სცდილობენ ხელისუფლების სათავეში თავის ძველი ბატონ-პატრონის კერზონის დაბრუნების მოლოდინში კვლავ გაარიყონ საბჭოთა კავშირი და მუშათა პარტია. მაკდონალდის მთავრობა, თუ ის დასთანხმდებოდა ამ დოკუმენტის გამოქვეყნებაზე, ამით შეუერთდებოდა კაპიტალისტურ კამპანიას, რომელიც მიმართულია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, კამპანიას, რომელიც სცდილობს მუშათა მოძრაობაში განხეთქილების შეტანას, მუშებმა უნდა უპასუხონ ამ კამპანიაზე იმით, რომ მუშათა კანდიდატების უმრავლესობა გაგზავნონ პარლამენტში.

კომინტერნი არ არის საბჭოთა რუსეთი, იგი არის პარტიათა მსოფლიო გაერთიანება სწორედ ისევე, როგორც II ინტერნაციონალი, იმ განსხვავებით, რომ პირველი იბრძვის სოციალიზმისათვის მაშინ, როდესაც II ინტერნაციონალი იბრძვის კაპიტალიზმისათვის.

დღეს ტრაფალგარის ბაღში კომპარტიამ მოაწყო მასიური მიტინგი, რომელსაც დაესწრო 5000 კაცი.

შთაბეჭდილება საფრანგეთში

პარიზი 27 ოქტომბერი. საფრანგეთის პრესა გაცხარებით არჩევს ვითომდა ზინოვიევის მიერ გაგზავნილი წერილის ისტორიას. საერთო აზრი ისეთია, რომ ეს საქმე დიდ ზიანს მიაყენებს მუშათა პარტიას. ყველა გაზეთებმა გამოაქვეყნეს ზინოვიევის, ლიტვინოვის და რაკოვსკის განცხადებები ამ დოკუმენტის სიყალბის შესახებ, მაგრამ საბჭოთა კავშირისადმი მტრულად განწყობილი პრესა ეჭვის თვალით უცქერის ამ განცხადებებს. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი პოზიცია დაიკავეს ამ საკითხში გაზეთებმა „პეპლ“, ლიბერტე“ და „პარი სუარ“. ეს უკანასკნელი გაზეთი, ისევე როგორც „ჟურნალ დე დება“, ცდილობს დაამტკიცოს, რომ თუნდაც ზინოვიევის წერილი სიყალბე იყოს, ის მაინც სავსებით შეეფერება კომინტერნის დოქტრინებსო. „ეკო დე პარი“ და „ეკლერ“ ცდილობენ გამოიყენონ ეს ინციდენტი საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ასამხედრებლად საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უკანასკნელის ცნობის წინ.

მაგრამ არა თუ საფრანგეთის რეაქციონერები, არამედ რუსი ემიგრანტებიც ვერ მალავენ იმედის გაცრუებას ისინი გრძნობენ, რომ აუცილებელია საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის აღდგენა

საფრანგეთი იცნობს საბჭოთა კავშირს

პარიზი. 28 ოქტომბერი. საფრანგეთის გაზეთები იტყობინებიან, რომ საფრანგეთი ოფიციალურად იცნობს საბჭოთა კავშირს 28 ოქტომბერს, დიპლომატიური ურთიერთობა [illegible] აღდგენილი. რაკოვსკი ჩავა პარიზში, [illegible] „ტანის“-ის უცხოეთის რედაქტორი გაიგზავნება მოსკოვში, როგორც საფრანგეთის ელჩი საბჭოთა კავშირში.

კომუნისტების გამარჯვება გერმანიაში

ბერლ. 28 ოქტ. გამბურგიდან მიღებული უკანასკნელი ცნობებით, რეიხსტაგის საარჩევნო შედეგი გამბურგის რაიონში შემდეგია: არჩეული არიან სოციალისტები—61, დემოკრატები—21, სახალხო პარტია—21, კომუნისტები—24, ნაციონალისტები—27, ცენტრი—3. ამნაირად კომპარტიას გამბურგის რაიონში უკავია მესამე ადგილი.

პრესის გამოძახილი

მოსკოვი. 27 ოქტ. ლიბერალური გაზეთები ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრს გამოსთქვამენ ხსენებულ ნოტისა და „დოკუმენტის“ შესახებ.

„დეილი ქრონიკლი“ და „დეილი ნიუზი“ მეტად აღშფოთებული კილოთი სწერენ მასზე. „მანჩესტერ გარდიენი“ უფრო ფრთხილად გამოსთქვამს თავის აზრს. „ვესტმინსტერ გაზეტ“-იკი არავითარ კომენტარიებს არ უკეთებს.

ბერლინი. 27 ოქტომბ. ბერლინის ბურჟუაზიული პრესა დაწვრილებით იხილავს როგორც ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილს რაკოვსკის სახელზე გაგზავნილს, აგრეთვე თვით რაკოვსკის საპასუხო განცხადებასაც.

„ფოსიშე ცაიტუნგი“ სწერს: გერმანიის დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან ბევრათ უფრო მჭიდროა და თანაც დიდი ხნისა, ვიდრე დამოკიდებულება მაკდონალდის მთავრობისა. გერმანიამ მით უფრო უნდა მიიღოს ინგლისის ნოტის [illegible], რადგან მეგობრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირთან მასაც აკისრებს აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა მესრულებას.

არ შეიძლება დიდხანს ავიტანოთ ის ყალბი მდგომარეობა, როდესაც ბოლშევიკების მარჯვენა ხელმა არ უწყის, თუ რას აკეთებს მარცხენა, ან არა აქვს იმდენი შეძლება, რომ შეაჩეროს მარცხენა ხელი.

ლონდონი. 27 ოქტ. „მორინგ პოსტს“, და „დეილ მეილს“ კიდევ სჯერათ ზინოვიევის წერილის სინამდვილე.

„მორინგ პოსტი“ სწერს: „თვით ზინოვიევი ყველაზე მეტათ გაჰკვირდება, როცა გაიგებს, რომ რაკოვსკიმ მისი წერილი მონათლა სიყალბეთ. ვინც კი გასცნობია ბოლშევიკურ ყრილობებს, იქ წარმოთქმულ სიტყვების სტენოგრამებს და „პრავდას“ ყოველდღიურ წერილებს, ყველასთვის ცხადია, რომ ზინოვიევის წერილი—ეს არის სხარტული გამოთქმა ყველა იმ მისწრაფებისა, მოქმედებისა და მიზნებისა, რომლებსაც ემსახურებიან ბოლშევიკები.

ზინოვიევის წერილის ინტერესი მდგომარეობს იმაში, რომ გამოიწვია წერილობითი პროტესტი მაკდონალდის მხრივ. სოციალისტები ეხლა კარგათ ხედავენ, რომ იმათი პოლიტიკის მთავარი მიზანი—რუსეთთან დაახლოება—უკვე შეუძლებელია. ამავე დროს კი ინგლისის ხალხის მოვალეობა აშკარაა: მან უნდა დააყენოს ხელისუფლების სათავეში ნამდვილი ინგლისური მთავრობა“.

„დეილ მეილი“ სწერს: „ჩვენ სავსებით ვართ დარწმუნებული, რომ ზინოვიევის წერილი არ იქნებოდა მთავრობის მიერ გამოქვეყნებული, რომ არ გაეგო მას ჩვენი გადაწყვეტილება მისი გამოქვეყნების შესახებ, ბოლშევიკების წარმომადგენელი რასაკვირველია, განაცხადებს, რომ წერილი ყალბია. მაგრამ მაკდონალდმა კარგათ იცის, რომ ის ყალბი არ არის ისევე, როგორც იცის ეს შინაგან საქმეთა მინისტრმა“.

„დეილ ტელეგრაფი“ ამბობს „ჩვენ არა გვგონია, რომ ამ სენსაციურმა გამომჟღავნებამ საარჩევნო კამპანიაში წარმოშვას რაიმე განსაკუთრებული საკითხი. ეს საქმე არ აღძრავს არავითარ ახალ საკითხს. იგი სასტიკად აძლიერებს იმ არგუმენტს, რომ (გაგრძელება არ არის მიღებული)“.

ლონდონი. 27 ოქტომბერი. ლიბერალური წრეა აშკარად იმყოფება რაკოვსკის ნოტის შთაბეჭდილების ქვეშ. მხოლოდ ერთი „დეილი ქრონიკლი“ იყენებს კონფლიქტს, რათა სახელი გაუტეხოს მაკდონალდს.

„დეილი ნიუზი“ არავითარ კომენტარიებს არ უკეთებს ინციდენტს, იმ დროს როდესაც „ვესტმინსტერ გაზეტი“ სწერს: „მას შემდეგ რაც კომუნისტებმა წამოაყენეს მოთხოვნილება გარეშე საქმეთა მინისტრის დათხოვნის შესახებ, მთელ ამ ისტორიას ეძლევა მხოლოდ ნახევარ საათის განმავლობაში თავის გართობის ხასიათი და სხვა არაფერი.

ნიუ-იორკი. 27 ოქტ. „ნიუ-იორკ —ტაიმს“-ი ნამდვილად სთვლის წერილს და აცხადებს: „ეს დოკუმენტი მოწმობს იმას, რომ ამაოა ყოველივე დათმობების გზით საბჭოთა პროპაგანდის მოსპობის ცდა“.

დანარჩენი გაზეთები ჯერ თავს იკავებენ კომენტარიებისაგან.

„ნიუ-იორკ-უორლდ“-ის ლონდონელი კორესპონდენტი დეპეშით იტყობინება: „მე დაბეჯითებით გავიგე, რომ წერილი სიყალბეს წარმოადგენს“.

რეაქციონერების სიხარული

ლონდონი. 28 ოქტომბერი. „ობსერვერ“-ის ცნობით, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ზინოვიევის წერილი წარმოადგენს განსაცვიფრებელ დოკუმენტს. ის დარწმუნებულია, რომ ეს წერილი გამოქვეყნდა მაკდონალდის დაუკითხავად. ამას გარდა ლოიდ ჯორჯმა სთქვა, რომ ის ვერ გამოსთქვამს ამ წერილის შესახებ თავის აზრს, სანამ მაკდონალდი არ შეხებია არსებითად ამ საკითხს.

ლორდმა ბირკენხედმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ზინოვიევის წერილი არ არის სიყალბე. მისი აზრით, ეს წერილი ინგლისის კომპარტიას გადასცა საგანგებო შიკრიკმა. ბირკენხედი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ წერილის შინაარსი მთელი თვის განმავლობაში იცოდენ მაკდონალდმა და ჰენდერსონმა.

ჩემბერლენმა სტოკში წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც აღნიშნა, რომ ინციდენტი ამჟღავნებს „ინგლისის თავისუფლების სკანდალურ შებღალვას“-ო. მისი სიტყვით, ამ გამომჟღავნებამ სოციალისტებს გაუცრუა იმედი, რომ ისინი გაიმარჯვებენ არჩევნებში.

შთაბეჭდილება ინგლისში

ლონდონი. 27 ოქტ. სვანსში წარმოთქმულ სიტყვაში მაკდონალდმა არაფერი არა სთქვა ზინოვიევის წერილზე, მაგრამ სიტყვის წარმოთქმის შემდეგ, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა ამ წერილის შესახებ ცნობების გამოსაქვეყნების მომენტი. მაგრამ, როგორც სჩანს, მაკდონალდი შეეხება ამ წერილს ახლო მომავალში.

კლაინსმა, ნორდ-გეპტონში სთქვა, რომ თუ ეს დოკუმენტი ნამდვილია, იგი ემუქრება შეთანხმებას საბჭოთა კავშირთან.

„მაგრამო, დასძინა კლაინსმა, ეს ახალი ამბავი არ არის, როდესაც არჩევნების წინ აწყობენ ისეთ მახინაციებს, რომელიც ყუმბარასავით გასკდება“.

ტომასმა, რომელიც შელპერში გამოვიდა, განაცხადა, რომ მან არ იცის ნამდვილია თუ არა ეს დოკუმენტი.

პონსონბიმ პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს შეფფილდში განაცხადა, რომ ის შესაძლებლად სთვლის წერილის სიყალბეს.

მუშათა პარტიის წრეებში ყველანი გაოცებული არიან. არავის ეჭვი არ ეპარებათ, რომ ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სიყალბეს, მაგრამ ყველას უკვირს, თუ როგორ წამოეგო მაკდონალდი ასეთ ანკესზე.

„ფორვერტსის“ ლონდონელმა კორესპონდენტმაც კი განაცხადა, რომ მისი აზრით დოკუმენტი უხეშ სიყალბეს წარმოადგენს.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

ამერიკა

მოსკოვი. 28 ოქტ. კომინტერნის აღმასკომმა ამერიკის მუშათა პარტიას გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ულოცავს ენერგიული ბრძოლისათვის ამერიკის კაპიტალის ძლიერების და კაპიტალისტურ საარჩევნო სისტემის წინააღმდეგ.

ბელგია

პარიზი. 28 ოქტ. შარლერუას (ბელგიაში) შუშის წარმოების მუშები მოითხოვენ ნოემბრიდან ხელფასის გადიდებას 10 პროცენტით. თუ არ დასთანხმდენ—მუშები იმუქრებიან საერთო გაფიცვით.

ვენა. 28 ოქტ. რუმინეთის „ოხრანკა“ განაგრძობს მუშათა დევნას. ქალაქ არადში „ოხრანკა“ დაარბია პროფკავშირის შენობა. მუშათა სახლი დაკეტილია. დაპატიმრებულია 12 კომუნისტი. დაპატიმრებულთა უმრავლესობა საშინლათ არის ნაცემი.

საფრანგეთი.

პარიზი. 28 ოქტ. საფრანგეთის მრეწველების ერთმა ჯგუფმა მიმართა ერრიოს წერილით, რომელშიაც ყურადღებას აქცევს საფრანგეთის კომპარტიის და შრომის უნიტარული კონფედერაციის აქტივობაზე, რომელიც ღებულობს საშიშ ხასიათს.

მრეწველები მოითხოვენ ენერგიული ზომების მიღებას ასეთი მდგომარეობის გამოსასწორებლად; მათ თავისი თავი უძლურად მიაჩნიათ ასეთი საფრთხის თავიდან აცილების საქმეში.

„კომუნისტი"

მიიღება ხელისმოწერა ნოემბრისათვის
მუშა-მოსამსახურეებისათვის, წითელ-არმიელებისა და მოსწავლე ახალგაზრდობისათვის თბილისში და პროვინციაში გაგზავნით გაზეთი ღირს:
თვით 65 კაპ., 2 თვით—1 მან. 10 კაპ., წლის ბოლომდი—1 მან. 80 კაპ.

ყველა დანარჩენებისათვის გაგზავნით
თბილისში (ბინაზე მიტანით) 1 თვით . . 85 კ. წლის ბოლომდი 1 „ 60„
პროვინციაში (გაგზავნით) 1 თვით . . 95 კ. წლის ბოლომდე 1 „ 80„

ყველა ხელისმომწერნი მიიღებენ უფასოდ „კომუნისტი"-ს ორკვირეულ სალიტერატურო სამხატვრო დამატებას „ჩირაღდანს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზღვარგარეთ გადატრიალება ჩინეთში

პეკინი, 27 ოქტ. შესდგა ახალი კაბინეტი. პრემიერად და გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია ვან-ჯენ-ტი, საბჭოთა კავშირის და ჩინეთის კომისიის ყოფილი თავმჯდომარე. გზათა მინისტრად გენერალი კუ-ანგ-ფუ. დანარჩენი მინისტრები უმნიშვნელო პიროვნებებია.

პოლიტიკური მდგომარეობა დღითი დღე იცვლება.

უ-პეი-ფუმ, რომლის მდგომარეობა უიმედო იყო, შესძლო მოწინააღმდეგის რკალის გარღვევა.

რამოდენიმე დღის შემდეგ საბოლოოდ გამოირკვევა საერთო მდგომარეობა.

ცაო-კუნის დეკრეტი.

ტოკიო. 27 ოქტ. ჩინეთიდან მიღებული ცნობით, პრეზიდენტმა ცაო კუნმა გამოაქვეყნა დეკრეტი, რომლითაც უ-პეი-ფუს ჩამორთმეული აქვს ყველა მისი ორდენები; დეკრეტი მოითხოვს სამოქალაქო ომის შეწყვეტას.

ახალი პრეზიდენტი

პეკინი, 27 ოქტ. გენერალმა ფინ-იუ-სიანმა, რომელმაც მოახდინა გადატრიალება პეკინში, მოიწვია გენერალი ტუან-ცი-ჩუე და დაავალა მას შეუდგეს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას.

იაპონიის ჩარევა

ტოკიო. 27 ოქტ. იაპონია გზავნის ახალ ძალებს ჩინეთში; ეხლა უკვე იმყოფება იაპონიის ხუთი განმანადგურებელი შანხაიში და ექვსი ტიან-ძინში.

პოლკოვნიკი ჟერარი, საფრანგეთის ჯარების ნაწილების უფროსი პეკინში, გაემგზავრა იაპონიაში სპეციალური დავალებით.

შეიძლება, გენერალმა უ-პეი-ფუმ შესძლოს უკან დახევა შან-დუნის პროვინციისაკენ, რათა გააძლიეროს მოქმედება ტიან-გინ-ცუკოუს რკინის გზის ხაზზე, რომელიც იმყოფება ინგლის-ამერიკის გავლენის სფეროში.

დავეხმაროთ კაპიტალის ტყვეებს

ანრი ბარბიუსის მოწოდება

მოსკოვი, 28 ოქტ. ცნობილმა ფრანგმა მწერალმა ანრი ბარბიუსმა მიმართა გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებს მოწოდებით, რათა ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტს. მოწოდებაში სხვათა შორის ნათქვამია: „მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტმა შესძლო საერთაშორისო დახმარების ფონდის შექმნა, რომლის შემწეობით მთელ რიგ ქვეყნების მცხოვრებლებმა შესძლეს იმ უბედურებათა გადატანა, რომელიც მათ წილად ხვდათ.

1921 წელს საერთაშორისო მუშათა დახმარების კომიტეტმა იხსნა არაჩვეულებრივი გვალვების გამო დამშეული ვოლგის მხარის მცხოვრებთა დიდი ნაწილი 1923 წელს მან დახმარება გაუწია იაპონიის ხალხს, რომელიც გარდა უდიდესი კატასტროფის მსხვერპლი, ის მიეშველა აგრეთვე გერმანიის გაჭირვებულ მოსახლეობას. სტიქიურ უბედურებათა მსხვერპლთათვის დახმარების აღმოჩენის გარდა, ის დახმარებას უწევდა აგრეთვე კაპიტალისტურ წესწყობილების მსხვერპლთა, იმ წყობილების მსხვერპლთა, რომლის უღელ ქვეშ გმინავს კაცობრიობის მეტი ნაწილი. მუშათა საერთაშორისო დახმარების კომიტეტი იძლევა აგრეთვე ინტელექტუალურ დახმარებას, რომელიც ანთავისუფლებს გონებას სიბნელისაგან, რომელშიაც კაპიტალისტურ ბარბაროსებს განზრახ ჰყავთ ჩაყენებული ისინი, უმარტავს მათ თავიანთ ინტერესებს, ასწავლის მათ სიმართლის ლაპარაკს, ე. ი. მოუწოდებს მათ აჯანყებისაკენ და ამაღლებს მათ გონებრივ დონეს. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ეს ნამდვილი ძმობის ინტერნაციონალი, უნდა ვიცავდეთ მას. თვითეული ქვეყანა მთელი თავის ძალ-ღონით უნდა ეხმარებოდეს მას. ეს საუკეთესო ფართო ორგანიზაცია, ორგანიზაცია ზეპარტიული და ჭეშმარიტად პროლეტარულ მოძრაობაში იდგომება მასების ფართო განმანთავისუფლებელ მოძრაობის ცენტრში,

პარტიზანული მოძრაობა პოლონეთში

სტუდენტების გაფიცვა.—პროფკავშირების დევნა

ვარშავა, 28 ოქტ. მიღებულია ცნობები, რომ პარტიზანები თავს დაესხენ კორეცს. ხმების მიხედვით, პარტიზანებმა დაარბიეს მთავრობის ყველა შენობები და ქალაქიდან განდევნეს მთავრობის ჯარები.

სტუდენტების გაფიცვა

ვარშავა; 28 ოქტ. პროტესტის ნიშნათ სწავლის ფულის გადიდების წინააღმდეგ, ლვოვის სტუდენტებმა გამოაცხადეს ერთი დღის გაფიცვა.

პროფკავშირების დახურვა.

ვარშავა, 28 ოქტ. პოლონეთის პოლიციამ ბელოსტოკში დაკეტა მელითონეთა, მეტყავეთა, ხალმშენებლო დარგის მუშების, მკერვალების და გემო-კვების მუშათა პროფკავშირების შენობები.

პროფკავშირების დახურვამ დიდი ღელვება გამოიწვია ბელოსტოკის მუშებში.

პროფკავშირების დახურვა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ეს კავშირები არ დააკანონა პოლონეთის სოციალისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. პოლონეთის სოციალისტური პარტია არავითარი გავლენით არ სარგებლობდა დახურულ პროფკავშირებში.

ტუგუტის გამოსვლა „ვიზვოლენიე"-ს პარტიიდან.

ვარშავა, 28 ოქტ. გლეხთა პარტიის „ვიზვოლენიე"-ს ყოფილი ბელადი ტუგუტი გამოვიდა პარტიის შემადგენლობიდან. პარტიამ ჩამოართვა ტუგუტს სეიმის ადმინისტრაციული კომისიის თავმჯდომარის მანდატი.

გაფიცვები.

ვარშავა, 28 ოქტ. დომბროვის რაიონში დაიწყო გაფიცვები ცალკე ქარხნებსა და მაღაროებში. კონფლიქტი ლოძის საფეიქრო მრეწველობაში რთულდება. მუშებმა კატეგორიულად განაცხადეს, რომ თუ ორშაბათამდე მრეწველები არ წავლენ დათმობაზე, გამოცხადებული იქნება გაფიცვა. ვარშავაში დაიწყო მკერვალთა გაფიცვა.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. რიკოვის დაბრუნება.

მოსკოვი. 28 ოქტომბ. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. რიკოვი დაბრუნდა მოსკოვში სამხრეთ-რუსეთიდან და 27 ოქტომბერს შეუდგა თავის თანამდებობის შესრულებას.

ამერიკელი მეცნიერი ქალი

მოსკოვი. 28 ოქტომბ. მოსკოვში ჩამოსულ ამერიკელ მეცნიერ ქალთა მეთაურმა პროფესორმა ქალმა ალისა ჰამილტონმა „როსტას" თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა: მე ვეწვიე საბჭოთა კავშირს მხოლოდ იმ მიზნით, რომ შევისწავლო შრომის დაცვის საკითხები და გავეცნო ფაბრიკა-ქარხნებში პროფესიულ ჰიგიენის გატარებას. საკმაო მასალების შეგროვების შემდეგ—ჰამილტონი დაბეჭდავს ცალკე წიგნს. ჰამილტონს განზრახვა აქვს თავისი თვალით ინახულოს სხვადასხვა ფაბრიკები და გაეცნოს საბავშვო დაწესებულებებს მოსკოვში. მოსკოვიდან ჰამილტონი გაემგზავრება ხარკოვში აზრათა აქვს აგრეთვე დაათვალიეროს ივანოვო-ვოზნესენსკი და ნიჟნი-ნოვგოროდი.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აჭარისტანი

ნავთი ინდოეთისათვის.

ბათომი, 28 ოქტომბერი. მოვიდა ინგლის-საქსონიის კომპანიის გემი „საქსიგამა", რომელიც წაიღებს ნავთს ინდოეთის ნავთსადგურებში—ბომბეიში, კალკუტაში და სხვ. კომპანიის განკარგულებაში არის 12 გემი, რომელთა ტვირთზიდვა უდრის 8000 ტონას.

სანთლების ფაბრიკა.

ბათომი. 27 ოქტომბერი. გლეხთა ურთიერთ დახმარების ცენტრალურმა კომიტეტმა დაამთავრა სანთლების ფაბრიკის მოწყობა. სანთლებიდან მიღებული შემოსავალი მოხმარდება გლეხკომების ფონდის გაძლიერებას.

ნავთი მაზრებისათვის.

ბათომი. 28 ოქტომბერი აჭარის ცეკავშირმა დააკმაყოფილა სამაზრო კოოპერატივების მოთხოვნილება და დაუგზავნა ყველა მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებებს ნავთი.

ნავთის ნაწარმოებთა ექსპორტი.

ბათომი. 27 ოქტ. ნავთის ნაწარმოებთა ექსპორტის გაზიდვა ბათომის გზით 1924—25 წლისათვის ნავარაუდევია 60—80 მილ. ფუთი.

ექსპორტი ბათომის ნავთსადგურით უკვე აღწევს ომის წინეთ არსებულ ნორმას.

საზღვარგარეთის ფირმების წარმომადგენელთა აზრით საბჭოთა ნავთი თავისი ღირსებით ბევრათ უფრო მაღლა სდგას, ვიდრე ამერიკასა.

პარტიული ცხოვრება

სოფლად მუშაობა

ამხ. კოსტანიანის მოხსენება ც. პ. სკოლაში

1924 წელს 23 ოქტომბერს ცენტრო პარტსკოლის შენობაში შესდგა ამავე სკოლის კურსანტთა კომპარტ. და ახ. ლ. კ. კ. კომუჯრედების გაერთიანებული სხდომა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცეკას მდივანმა ამხ. კოსტანიანმა კომპარტიის ცეკას პლენუმის შედეგებზე სოფლად მუშაობის შესახებ.

მომხსენებელმა ნათლად და ვრცლად დაასურათა თავის მოხსენებაში სოფლად მუშაობის სუსტი მხარეები, ადგილობრივი მომუშავეების საქმეში გამოუცდელობა, და დაბოლოს გამოსთქვა იმედი, რომ ცენტრო პარტსკოლიდან გამოვლენ ისეთი მუშაკნი, რომლებიც იქნებიან შეიარაღებული ლენინიზმის თეორიით და პრაქტიკით და რომლის საშუალებით ისინი სრულიად შესძლებენ გაატარონ სწორი კომუნისტური ხაზი სოფელში მუშაობის დროს.

ამხ. კოსტანიანის მოხსენების გამო გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლუცია: „ცენტრო პარტსკოლის კომპარტიის უჯრედის და ახალ. ლ. კ. კ. წევრთა საერთო კრებამ მოისმინა რა საქარ. კომპარტ. ცეკას მდივნის ამხ. კოსტანიანის მოხსენება ცენტრალურ კომიტ. პლენუმის დადგენილებების შესახებ, მთელი თავისი შეგნებით ყურადიღებს იმ სიძნელეს, რომელიც სდგას ს. კ. პარტიის წინაშე სოფლად მუშაობის საქმეში.

ც. პ. სკოლის კურსანტები, ჩამოსულნი საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან, ფიცს სდებენ საქ. კ. პარტ. ცეკას წინაშე, რომ ისინი სკოლაში ყოფნის დროს არ დაკარგავენ უბრალოთ ერთ წუთსაც კი, რომ შეიარაღდენ მარქსიზმისა და ლენინიზმის ცოდნით და მოემზადონ, გახდენ ისეთ მუშაკებად, რომლნიც გააჯანსაღებენ და გაამაგრებენ სოფლად საბჭოთა აპარატებს და გააძლიერებენ პოლიტკულტურულ მუშაობას.

ც. პ. სკოლის კურსანტები დაიჭერენ აგრეთვე მჭიდრო კავშირს საშეფო კომისიებთან და აღმოუჩენენ მათ ყოველგვარ დახმარებას.

ც. პ. სკოლის კომუჯრედი კი მტკიცეთ დაიცავს პარტ. დისციპლინას, დაუბრკოლებლივ გაატარებს ცხოვრებაში პარტიის ყველა დირექტივებს და ცირკულიარებს.

ამასთანავე ც. პ. სკოლის კურსანტები იძლევიან სიტყვას, რომ ყოველთვის ფხიზლათ იდგომებიან და დაძახებისთანავე მზად შეხვდებიან რევოლიუციის მონაპოვარის დაცვის საქმეს.

პარტკორი ბ. დაშნიანი.

ახალგაზრდათა კომუნისტური გვარდია

ჭფ. ალმასკომის ახალგ. ლ. კ. კ. უჯრედში

ხუთშაბათს კომკავშირის უჯრედის გაერთიანებულ სხდომაზე არ. ჯორჯიაშვილის სახელობის პიონერებთან ერთად მოსმენილ იქნა კოლექტივში უჯრედის წარმომადგენლის ამხ. ნონიანცის მოხსენება ბავშვთა შორის მუშაობის შესახებ.

არ. ჯორჯიაშვილის სახელობის პიონერთა ჯგუფი, კოლექტივი დაარსებულ იქნა საბურთალოში უჯრედის წარმომადგენლის მიერ, სადაც ყველა ულარიბესი ოჯახის შვილები და ობლები იყრიან თავს. პირველად იგი აერთიანებდა 150 ბავშვამდე. საზაფხულო პერიოდში იგი ნაწილობრივად დაიშალა, მხოლოდ ამ ჟამად წევრები ისევ უბრუნდებიან კოლექტივს. დღეს გამოცხადებულია 70 ბავშვი. კოლექტივს აქვს 3 წრე: ხატვის, სიმღერის და დრამატიული. კოლექტივი ძლიერ ღარიბია ნივთიერად. ამ უკანასკნელ ხანებში რაისპორტცენტრიდან კოლექტივის საჭიროებისთვის მიუღიათ 5 მანეთი, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში. ამ კოლექტივს უსათუოდ დიდი მატერიალური დახმარება ესაჭიროება. ხუთშაბათს უჯრედის სხდომაზე პიონერები მოვიდენ ორგანიზაციულად დარაზმული, რომელთა დიდი უმრავლესობა თითქმის ფეხშიშველები იყვნენ და ისიც სიცივეში და ტალახში, შემოსილები საშინლად უვარგის ტანისამოსით. ამ კოლექტივზე ალმასკომის და მილიციის კომკავშირის უჯრედებმა თავის გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე ახალგ. საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, აიღეს შეფობა. ჯერჯერობით შეფობა გამოიხატებოდა მხოლოდ თანაგრძნობაში. მხოლოდ ამ უკანასკნელ სხდომაზე კი კოლექტივში მუშაობის ანგარიშების მოსმენის შემდეგ უჯრედმა გამოიტანა შემდეგი დადგენილება: „ყველა კომკავშირის წევრმა ალმასკომის და მილიციის უჯრედებისამ, რომელიც კი მსახურობს, გადასდოს ერთდროულად დღიური ნამუშევრის ნახევარი პროცენტი და დაევალოს ბიუროს რათა მან შემდეგში გაუწიოს ხელმძღვანელობა მუშაობაში შესაძლებლობის ფარგლებში.

ამასთანავე საჭიროა მიაქციონ ყურადღება ამ კოლექტივს როგორც რაისპორტცენტრმა, ისე სათანადო ორგანოებმა, რათა იგი მიმაგრებულ იქნას რომელიმე პროფკავშირზე.

პარტკორი ნინა სალირაშვილი.

განათლების ფრონტზე

სამეცნიერო მუშაკთა და საზოგადო მოღვაწეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

განათლების კომისარიატთან შესდგა „სამეცნიერო მუშაკთა და საზოგადო მოღვაწეთა მდგომარეობის გასაუმჯობესებელი ცენტრალური კომისია" ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით და ამხ. ამხ. მარ. ორახელაშვილის, ს. შავერდოვის, ამირალოვის, ქაცარავას, მეძმარიაშვილის, მიქაძის ვ. ბერიძის და ალ. მიქაბერიძის შემადგენლობით. კომისიას დავალებული აქვს სამეცნიერო მუშაკთა და საზოგადო მოღვაწეთა მდგომარეობის გაუმჯობესება და ამ მიზნით მთავრობის მიერ გადადებულ თანხების განაწილება სათანადოთ.

შტატების შემოკლება.

განათლების კომისარიატის დადგენილებით შესდგა კომისია, რომელსაც დაევალა მოახდინოს განათ.-კომის. ქვემდებარე დაწესებულებათა შტატების გადასინჯვა და შემოკლება.

მუშათა ფაკულტეტი.

სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ მუშათა ფაკულტეტის დეკანი ამხ. ს. ხუნდაძე განთავისუფლებული იქნა აღნიშნული თანამდებობიდან, მის ადგილზე დროებით დაინიშნა ამხ. მ. მეძმარიაშვილი.

გერმანული სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი.

განათ. კომისარიატის დადგენილებით გერმანულ სამრეწველო-ეკონომიური ტეხნიკუმი გადაეცა თბ. განათლების განყოფილებას არსებულ გერმანულ ცხრაწლედთან გასაერთიანებლად.

მოწაფეთა დაბეგვრის წინააღმდეგ.

განათლების კომისარიატმა ცირკულიარული წინადადება მისცა განათლების განყოფილებებს, რათა სასტიკი ზომები მიიღონ სკოლების იმ ადმინისტრაციათა წინააღმდეგ, რომლებიც მოწაფეებს ბეგრავენ რაიმე არა ოფიციალურ გადასახადით სკოლის ამა თუ იმ საჭიროებისათვის.

პროფკავშირებში

სამეცნიერო-ტეხნ. ძალთა სექციაში

14 ოქტომბერს შესდგა საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურ კლუბის სხდომა, რომელსაც დაესწრო 45 კაცი.

სხდომაზე მოსმენილი იქნა პროფ. ბაბოვის მოხსენება ქ. თბილისისათვის წყალის მიწოდების შესახებ წალკის წყაროებიდან. სხდომაზე აუცილებლად იქნა ცნობილი ახალი წყალსადენის გამოყვანა წალკიდან, ნატახტარიდან და ბალაჩაურიდან.

სამეცნიერო-ტეხნიკურმა კლუბმა დაადგინა სთხოვოს ქალაქის აღმასკომს გამოყოს სპეციალური კომისია მცოდნე პირებისაგან აღნიშნული წყაროების დაწვრილებით გასასინჯავათ და შესასწავლათ.

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა ცენტრალურ ბიუროში შემოვიდა უმუშევარ ინჟინრების და ტეხნიკოსების განცხადება არტელის მოწყობის შესახებ.

ეს საკითხი საბოლოო გადასაწყვეტათ გადაეცა საამშენებლო დარგის მუშების კავშირის ცენტრალურ გამგეობასთან არსებულ სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციის ბიუროს.

სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციის ცენტრალურმა ბიურომ თავის რწმუნებულათ აფხაზეთში დანიშნა ამხ. ვალუისკი, რომელსაც დაევალა მიიღოს ყველა ზომები იმისათვის, რომ აფხაზეთის თვითეულ საწარმოო კავშირთან მოწყობილი იქნეს სამეცნიერო-ტეხნიკურ ძალთა სექციები.

მუშათა ცხოვრება

ეგ მუშათა მახე უნდა მოსპოთ!

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ)

მე-12 უბანში გორის ქუჩაზე იმყოფება ღვინის დუქანი და ამასთანავე დუქნის გვერდით სასადილო. ეს ორივე ეკუთვნის ვინმე მოქალაქე აბაშიძეს. ეს ღვინის სავაჭრო-სასადილო ნამდვილი მახეა მუშების, იგი იმყოფება სწორედ ქუჩის და საყისში—რკ. გზ. აბანოს პირდაპირ და ამ დუქნის ზემოთ უკვე აღარ არის არც ერთი დუქანი, გარდა რკ. გზ. საწყობისა. ეს ადგილი სწორედ ნამდვილ მახეს წარმოადგენს მუშებისათვის. რომ გაიაროთ დასვენების საათებში, დილით, ამ დუქნისაკენ, თქვენ ნახავთ უთუოდ მახეში გაბმულ მუშას, რომელიც სვამს არაყს, ან ღვინოს, რისთვისაც ობობა მედუქნე მას ახდევინებს ორმაგ ფასს. ეს დილაობით, მაგრამ შუადღის ორი საათის შემდეგ, როდესაც მუშაობა თავდება, აქ უკვე სხვა სურათია. დუქნის გვერდზე სასადილო სავსეა მუშებით, როგორც რკ. გზის, ისე ტრანსპორტის, რომელიც შემოსხდომიან მაგიდებს გარშემო და მათი სიმღერა არღვევს იქაურობას.

ქ. ალმასკომმა უნდა ალაგმოს მოქ. აბაშიძე და მის დუქნის ადგილზე—მუშკოოპმა ან „ზაკტპო"-მ წითელი სასადილო უნდა გახსნან.

ინჟ. ალ. გურასაშვილი.

გამგეც ასეთი უნდა!

(მალაკანთა კოოპერატივის საყურადღებოდ)

გამგე უნდა იყოს ხელქვეითებისათვის და არა ისეთი, როგორც, მაგალითად, არის მოქ. მიკირტიჩ გრიგორიანი. იგი ითვლება მალაკანთა კოოპერატივის გამგეთ ძალიან ხშირად იგი თავის თანამშრომლებთან ერთად დაიარება ღამღამობით მთვრალი „სახე დაკარგულ" და თავის ქცევით აღიზიანებს დალალულ მშრომელ ხალხს. ასეთი მაგალითი იყო საღამოს 11 საათზე 22 ოქტომბერს. საქმე იქამდისინ მივიდა, რომ გრიგორიანი თავისი თანამშრომლით მილიცამ წაიყვანა და დააპატიმრა, რაზედაც არის შედგენილი ოქმი.

საჭიროა ასეთი გამგე მოაშოროთ კოოპერაციას.

მე-8 სამილ. რაიონის უფრ. აბრამაშვილი.

მშიერ ბავშვებს მიაქციეთ ყურადღება.

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

საბჭოს ქუჩაზე, რკინის გზის ხიდთან ღამე თუ დღე, მზიან თუ წვიმიან დღეებში დაიარებიან მშიერი, ტიტველი და უპატრონო ბავშვები. მათ არ აქვთ შეძლება თვითონ იშოვონ თავისი საზრდო და გამვლელს ხელს რომ გაუწოდებენ—სხვადასხვა უსიამოვნო სიტყვას მიიღებენ ხოლმე—შველის მაგიერ. ეს ასე არ უნდა ხდებოდეს საბჭოთა ხელისუფლების დროს. საჭიროა, აიყვანოთ ესენი ქუჩიდან და შესაფერისი ბინა მიუჩინოთ მათ.

მუშკორი ო—ვა.

სამსახურის შესრულება ასე უნდა.

მადლობის ღირსია ის სამსახურის პირნათლად შესრულებული, რომელიც მუდამ მუშურ-გლეხურ ინტერესების დაცვას სადარაჯოზეა. ასეთია მე-7-დე სამილიციო უბნის უფროსი ამხ. ნაბახტრიანი. იგი მუდამ თავის ადგილს არის და ყურს ადევნებს, რომ მუშას და გლეხს არ მოხვდეს ჩარჩ-სპეკულიანტების ხელი. კახეთის ქუჩაზე № 6 სპეკულიანტები იყრიდნენ თავს და მოსვენებას არ აძლევდნენ მეურმე გლეხს და მუშას, ახლა ეს ყველაფერი შეწყდა ამხ. ნაბახტრიანის წყალობით.

მუშკორი ბეგიაშვილი.

მუშებს რად გვატყუებენ?

(რკ. გზის სამმართველოს და პროფკავშირის საყურადღებოდ)

აგერ წელიწადი სრულდება, რაც დაიწყო რკინისგზის მუშათა სახლის შეკეთება ბაქოს ქუჩაზე № 20-ში. მაგრამ დღესაც აქ მუშაობა მოუთავებელია. ამდენ ხანში კი ადვილად შეიძლებოდა ასეთივე ახალი სახლების აშენება. ბევრი მასალა მოზიდეს ამ ეზოში როგორც ხის, ისე აგურის, რომ მართლა კაცს ეგონებოდა, რომ ერთი ამოდენა სხვა სახლები უნდა გაამშენონო. ინჟინრებიც და კამისიებიც ბევრნი დაიარებოდნენ, მაგრამ გაკეთებით კი მაგდენი არაფერი გაუკეთებიათ.

ეს მასალაც ისევ უკანვე გაზიდეს, მხოლოდ მდგმურებს ინჟინერი სკრიპინი დაპირდა, რომ მუშებს ყველაფერს გაუკეთებთ, რაც კი გესაჭიროებათ.

საკვირველია, როდის და უნდა გააკეთონ?

აგერ ზამთარი მოდის, სახლის სახურავი გაფუჭებულია, ჭერი იქცევა სამზარეულოებში, არ არის მოწყობილი კერძის სახარში ადგილები, არა გვაქვს მეორე და მესამე სართულში უქალი, არა გვაქვს საპირფარეშოები მოწყობილი, აკლია სახლებს მინები, არ არის შეკეთებული ოთახები შიგნით, არც ბალკონები, არც კარებები, არც სარეცხის ბინა და არც ვანნები გვივარგა. სახლში იყო ვანნები და წაიღეს. საკვირველია, რად გაზიდეს იმოდენა მასალა, ან რაღად წაიღეს იგი. ეს ხომ ორნაირი ხარჯი გასწიეს და არაფერიც არ გაგვიკეთეს.

მუშკორი შხამი.

სხვადასხვა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან).

— **სამუშაო გეგმის დამტკიცება.** ა.-კ. რკ. გზ. პროფკავშირმა დაამტკიცა საორგანიზაციო-საგანმანათლებლო და ეკონომიურ განყოფილებათა მუშაობის ორ თვიანი გეგმა.

— **თანამშრომლების შტატი.** საორგანიზაციო-საგანმანათლებლო განყოფილებისათვის ა. კ. რკ. გზ. პროფკავშირმა დაამტკიცა თანამშრომელთა შტატი 10 კაცის შემადგენლობით.

— **შტატის გადიდება.** ა. კ. რკ. გზ. პროფკავშირმა დაადგინა 1-ლ ნოემბრიდან თბ. საუბ. პროფკავშირის შტატი გაადიდოს ერთი პასუხისმგებელი მუშაკით.

— **წიგნების გაცემა.** „ზაკტაო-"ს მუშა-მოსამსახურეთა კლუბიდან დაწყებულია წიგნების გაცემა სახლში საკითხავად.

— **ეწერებიან საჰაერო ფლოტის საზოგადოებაში.** თბ. საუბ. დამზღ. სალაროს ყველა მოსამსახურენი ჩაეწერენ ერთხმად საჰაერო ფლოტის საზოგადოებაში.

— **კიდევ ერთი სტიპენდიანტი.** ა.-კ რკ. გზ. პროფკავშირმა თავის სტიპენდიანტად დანიშნა მოსკოვში ერთი სტუდენტი.

განათლების მუშაკთა კავშირის ც. გ-ის პლენუმი

26 და 27 ოქტომბერს განათლების მუშაკთა სახლში შესდგა განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პლენუმის სხდომა, რომელსაც დაესწრენ პროფკავშირთა მე-4 ყრილობაზე ჩამოსული დელეგატები ამავე კავშირის სამაზრო განყოფილებებიდან.

საწევრო ანარიცხების შემცირების შესახებ.

პირველ რიგში პლენუმი იხილავს საკითხს საწევრო ანარიცხების შემცირების შესახებ. პლენუმი ადგენს, მეოთხე პროცენტი დატოვებულ იქნეს და ანარიცხები ამ პროცენტიდან გადატანილ იქნება საკურორტო ფონდის შესადგენად. ვინაიდან სამაზრო განათლების განყოფილებების წარმომადგენლებს საქმის მდგომარეობის შესახებ საკმარისი ცნობები არ მოეპოვებოდათ, პლენუმი ამ ანარიცხებით შეგროვილ თანხის ცენტრალიზაცია-დეცენტრალიზაციის საკითხს გადაუჭრელად სტოვებს პლენუმის მორიგ სხდომამდე. ამ მაზრებისათვის, სადაც უკვე ტარდება სამპროცენტიანი გადასახადი, საკითხი რჩება ღიად. პლენუმი ავალებს სამდივნოს გამორკვიოს საქართ. პროფსაბჭოსთან მოლაპარაკებით 4 პროცენტიანი ანარიცხის დატოვების შესახებ.

კავშირის წესდების მიღება.

პლენუმი 1 მუხლში მცირე ცვლილების შეტანით ამტკიცებს საბჭოთა კავშირის განათლების მუშაკთა კავშირის წესდებას.

კონფერენციები.

პლენუმი ადგენს ჩაატაროს მთელ რესპუბლიკაში ნოემბრის დამლევიდან 10 დეკემბრამდე მასწავლებელთა სარაიონო და სამაზრო კონფერენციები.

სარაიონო კონფერენციისთვის პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობაზე, 2) მასწავლებლების როლი საბჭოთა აღმშენებლობაში, 3) მასწავლებელთა სრ. საკავშირო ყრილობის მიზნები და ამოცანები, არჩევნები სამაზრო კონფერენციისათვის. სამაზრო კონფერენციებისათვის დამტკიცებულია დღის შემდეგი წესრიგი: 1) საბჭოთა ხელისუფლების მიღწევები და საბჭოთა მშენებლობის ახლობელი ამოცანები, 2) განათლების მუშაკთა ამოცანები და საბჭოთა მშენებლობის სისტემა, 3) მასწავლებლობა და კომპარტიის მე-13 ყრილობა, 4) მასწავლებლობა და კომკავშირი, 5) არჩევნები რესპუბლიკის ყრილობისათვის.

კულტმუშაობა.

პლენუმმა კულტმუშაობის უახლოეს ამოცანებად სცნო: ბავშვთა კომუნისტური მოძრაობის შესწავლა, მასწავლებელთა გადამზადება სოციალური აღზრდისათვის. პედაგოგიკაში მარქსისტული მიმდინარეობის შესწავლა და სხვა.

პლენუმი საჭიროდ აღიარებს აგრეთვე, რომ მაზრებში განათლების მუშაკთა ყველა სახლები გადაყვანილ იქნენ კლუბების მდგომარეობაზე.

კავშირის ჟურნალი.

რაც შეეხება კავშირის ჟურნალს, იგი უნდა გამოცოცხლებულ იქნეს შიგ ახალ განყოფილებების გახსნით, ადგილებიდან საკუთარი კორესპოდენციებით, რომელიც გააშუქებენ მასწავლებლის დღევანდელ ყოფა-ცხოვრებას.

პლენუმი აუცილებლად სთვლის აგრეთვე მოძრავი ბიბლიოტეკის ორგანიზაციას.

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე ახ. კომ. კავშირის წარმომადგენლის მოხსენება. კომ. კავშირის და მასწავლებლობის საერთო მუშაობის გეგმის შესამუშავებლად არჩეულ იქნა განსაკუთრებული კომისია.

დასასრულ მასწავლებელთა ეკონომიური მდგომარეობის და ხელფასის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. გეგენავა, რომლის მოხსენების შინაარსი უკვე მოყვანილ იყო ჩვენი გაზეთის № 239-ში (18 ოქტობრის №-ში).

ხეზე მომუშავეთა მეოთხე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ხეზე მომუშავეთა მე-4 ყრილობა გაიხსნა 27 ოქტომბერს, საღამოს სრულ 6 საათზე, პროფკავშირების მცირე დარბაზში.

ყრილობას დაესწრენ დელეგატები ყველა მაზრებიდან საარჩევნო და სათათბირო ხმით.

პრეზიდიუმში არჩეული იქნენ შემდეგი ამხანაგები: სიდოროვი, სალდაძე, დიმიტრაშვილი, ლეჟავა, ეგანოვი, ბეჩვაია და შუბლაძე.

სამდივნოში ამხ. ამხ. ამსოვიჩი, მეგრელიშვილი და მატკავა.

სამანდატო კომისიაში,—ამხ. ამხ. კორნეევი, სანებლიძე და როსტომაშვილი.

საპატიო წევრებათ ყრილობა ირჩევს ამხ. ტროცკის, სტალინს, ტომსკის, ორჯონიკიძეს, მახარაძეს და ცხაკაიას.

ყრილობის დღის წესრიგი.

1) მოხსენება მომენტის შესახებ, 2) მოხსენება სრულიად რუსეთის ხეტყის დამმუშავებელთა პროფკავშირის წარმომადგენლის ამხ. სიდოროვის, 3) კავშირის ცენტრალურ კომიტეტის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, 4) საქართველოს სატყეო ტრესტის მოხსენება, 5) საორგანიზაციო საკითხები, 6) სატარიფო ეკონომიური საკითხები, 7) კულტურულ განმანათლებელი საკითხები და 8) არჩევნები.

დღის წესრიგი, წარმოდგენილი ცენტრალურ გამგეობის მიერ, ყრილობამ მიიღო უცვლელად.

მოხსენება მომენტზე.

(მომხსენებელი ამხ. მუშიშვილი)

მომენტის შესახებ ვრცელი მოხსენებით გამოდის ამხ. მუშიშვილი, ის ნათლად ასურათებს დასავლეთ ევროპის მუშების მდგომარეობას და გაყავს პარალელები საბჭოთა ფედერაციის მუშების მდგომარეობასთან.

შემდეგ მომხსენებელი აცნობს ყრილობას მნიშვნელოვან საკითხს, როგორიც არის, ინგლისთან დადებული ხელშეკრულება, საარჩევნო პოლიტიკა ინგლისში, აღმოსავლეთის საკითხი, აგრეთვე ჩინეთში მიმდინარე სამოქალაქო ომი და შემდეგ გენერალ დოუესის გეგმა, ამერიკის, საფრანგეთის და ინგლისის კონტაქტი ამ უკანასკნელ საკითხში.

მოხსენების შემდეგ ამხანაგების მიერ შემოტანილი იქნა მრავალი შეკითხვები, რომლებზედაც გაეცა დამაკმაყოფილებელი განმარტებანი და პასუხი.

სხდომა დასრულდა საღამოს 9 საათზე.

რკინის გზებზე

ბრძოლა წერა-კითხვის უცოდინარობასთან.

თბ. საბარგო სადგურის 20 მუშა წერა-კითხვის შესასწავლათ განთავისუფლებული იქნა მუშაობიდან განსაზღვრულ საათებში.

კვირაობა ლენინგრადის სასარგებლოთ.

20 ოქტ. თბ. ხაზის მუშა-მოსამსახურეებმა მოაწყვეს კვირაობა ლენინგრადის სასარგებლოთ.

რკინისგზის საწყობი № 2.

შეუდგენ თბ. რკ. გზის მთავარ საწყობის მუშებისათვის არსებული სასადილოს გაფართოებას და გამშვენიერებას.

შეფობა სოფელზე.

რკ. გზის მე-6 უბნის მუშა-მოსამსახურეთა საშეფო კომისიამ გადასწყვიტა მიიღოს შეფობა სოფ. კავთისხევზე. რომელიც აოხრებული იქნა მენშევიკური ავანტიურის გამოსვლების დროს.

მეცნიერება-ტეხნიკა

რა არის რადიო

გადამცემი რადიო-სადგური გზავნის სივრცეში პირობითი ნიშნებს, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა აქვთ, და სადღაც შორს, რამოდენიმე ათასი ვერსის მანძილზე უცნობი ხალხი თავის რადიო-სადგურებში იღებს ამ ცნობას, იძლევა პასუხს.

ისმება კითხვა—როგორ ხდება ის, რომ გადამცემი რადიო-სადგურიდან გაგზავნილი ნიშანი აღწევს მიმღებ რადიო-სადგურამდი

ამისათვის მოვიგონოთ ყველასათვის ნაცნობი მოვლენა როცა აუზის წყნარ წყალში გადავისვრით კენჭს, ეს არღვევს წყალის სიმშვიდეს, წყალი იწყებს ღელვას და იმ ადგილიდან, სადაც კენჭი ჩავარდა ნაპირისაკენ იშლებიან ტალღების წრეები. და როდესაც ეს ტალღები მიაღწევენ წყალში პატარა ნაფოტამდი ხის ტოტამდი, ისინი არღვევენ მის მყუდროებას, გამოყავენ ის უძრავ მდგომარეობიდან—ნაფოტი იწყებს ქანაობას ტალღებზე.



როგორ ვრცელდება ხმის ტალღები.

ავილოთ მეორე მაგალითი. ზარი რეკს. თვალით ვერ ხედავ თუ რა ხდება ამდროს. რეკა, ხმაურობა კი ისმის. რატომ ხდება ეს? ზარი თავისი რხევით აღელვებს ჰაერს, იგზავნება ჰაერის ტალღები, რომლებიც აღწევენ ჩვენს ყურამდი, აქ მათ მოძრაობაში მოყავთ ყურის დაფი. ყურის დაფის რხევას კი ჩვენ შევიგრძნობთ როგორც ხმას.

მოყვანილ შემთხვევებში „გადამცემი აპარატები" (კენჭი, ზარი) არაფრით არ არიან დაკავშირებული „მიმღებ აპარატებთან" (ნაფოტი, ყურის დაფი), მაგრამ ისინი იმყოფებიან ერთსა და იმავე არეში (ქვა და ნაფოტი—წყალში, ზარი და ყური—ჰაერში).

კენჭის და ზარის მოძრაობა არღვევენ არეს მდგომარეობას, გზავნიან ტალღებს, რომლებიც აღწევენ რა „მიმღებ აპარატებამდი" არღვევენ მათ მყუდროებასაც.

მაგრამ რას წარმოადგენს ის არე, რომელშიც იმყოფება მიმღები და გადამცემი რადიო-სადგური?

ეს არე არის—ეთერი *).

თანამედროვე მეცნიერება ამტკიცებს, რომ მთელი სამყარო გავსებულია განსაკუთრებული, უხილავი ნივთიერებით—მსოფლიო ეთერით. ეთერის დანახვა არ შეიძლება, მას არა აქვს წონა, სამყაროში არ არსებობს აბსოლიუტური სიცარიელე. პლანეტებს შორის სივრცეც კი ეთერით არის სავსე. ეთერის ნაწილები, ნორმალური მდგომარეობიდან გამოყვანილნი, ცდილობენ დაიკავონ პირვანდელი მდგომარეობა. თუ სადმე ირღვევა ეთერის ნორმალური მდგომარეობა, იმ ადგილიდან ყოველმხრივ იშლებიან ტალღები, როგორც ეს ხდება ჰაერში და წყალში.

ეთერის გამოყვანა ნორმალური მდგომარეობიდან შეიძლება ელექტრონისა და მაგნიტის ძალებით.

თვითეული სხეულის შიგნით არის ელექტრონის პატარა ნაწილაკები რომლებსაც ელექტრონები ეწოდება. ზოგიერთი სხეულების შიგნით ელექტრონები თავისუფლად მოძრაობენ, ასეთ სხეულებს ელექტრო-გამტარებლები ეწოდება. ზოგიერთი სხეულები კი ელექტრონებს არ აძლევენ მოძრაობის საშუალებას. ასეთ სხეულებს იზოლიატორები ეწოდება.

თანამედროვე ელექტრო-ტეხნიკას შეუძლია გამოიწვიოს გამტარებლებში ელექტრონების მუდმივი მოძრაობა. თუ ელექტრონები მოძრაობენ ერთი მიმართულებით და არ იცვლება მოძრაობაში მონაწილე ელექტრონების რაოდენობა, ამას ეწოდება მუდმივ-ნაკადიანი დენა.

თუ ელექტრონები ხან წინ მიდიან, ხან უკან ბრუნდებიან მაშინ ამბობენ, რომ მავთულით მიდის ცვალებად-ნაკადიანი ტალღა.

ელექტრონების სწრაფი მოძრაობა ზოგიერთ პირობებში ისევე მოქმედობს ეთერზე, როგორც ზარის ენის რხევა მოქმედობს ჰაერზე. ელექტრონების მოძრაობა არღვევს ეთერის მყუდროებას და იწვევს მისი ნაწილების ტალღისებურ მოძრაობას. ეთერის ამ ტალღებს ეწოდება ელექტრო-მაგნიტური ტალღები.



ელექტრო-მაგნიტური ტალღების გავრცელება.

გადამცემი რადიო-სადგური გზავნის ელექტრო-მაგნიტურ ტალღებს, ტალღები აღწევენ მიმღებ რადიო-სადგურამდი და აქ გავლენას ახდენენ მიმღებ აპარატებზე.

გადამცემი რადიო სადგურის იმ ნაწილს, სადაც ხდება ელექტრონების მოძრაობა, რომელიც არღვევს ეთერის მყუდროებას, ეწოდება ანტენა.

ტალღები რომლებსაც იწვევს ანტენა ვრცელდებიან გარშემო არაჩვეულებრივი სისწრაფით. ერთ წამში ასეთი ტალღა გადის 300 000 ვერსს. ისინი მოძრაობენ ყოველმხრივ სწორი ხაზებით, რადიუსებით, აქედან—სახელწოდება—რადიო (radius—ლათინურათ—სწორი ხაზი).

ელექტრო-მაგნიტური ტალღები, როცა გზაში ხვდებიან მეორე ანტენას, იწვევენ მასში ელექტრონების მოძრაობას.

ცნობების გაგზავნის დროს სარგებლობენ იმავე ნიშნებით, როგორც ჩვეულებრივი დეპეშის გაგზავნის დროს ე. წ. მორზეს ანბანით (რადიო-ტელეგრაფი).

როდესაც საქმე გვაქვს რადიო-ტელეფონთან, იქ გადამცემი აპარატი შეიარაღებულია მიკროფონით (რომელიც აძლიერებს ხმას). გაგზავნილი ტალღები მიმღებ რადიო-სადგურში იწვევენ ელექტრონების მოძრაობას იმავე სახით, როგორც ეს ხდებოდა მიკროფონით ხმების გადაცემის დროს, ამ რიგად მიმღები აპარატის ტელეფონი აღადგენს იმავე ხმებს, რომლებიც წარმოთქმული იყო მიკროფონთან.

---

*) ე. წ. მსოფლიო ეთერი სხვა და ქიმიური ნივთიერება, ეთერი, რომელსაც აფთიაქებში ყიდიან—სხვა.

პოლიტ-განათლების მთავარ სამმართველოსაგან

რესპუბლიკის ფარგლებში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მასწავლებლები, რომლებიც მიმდინარე (24 | 25 წ.) სასწავლო წლის განმავლობაში შეასწავლიან წერა-კითხვას არა ნაკლებ 30 უცოდინარს, გარდა განსაზღვრულ ხელფასისა, მიიღებენ მთავარ სამმართველოდან ჯილდოს სახით—თვით მასწავლებლების სურვილით არჩეულ წიგნებს, ან გაზეთებს—სულ 10 მანეთის ღირებულების.

პრემიის მიმღებ მასწავლებლების სიას წარადგენს კურსდამთავრებულთა გამომშვები კომისია სამაზრო პოლიტგანათლებაში, რომელიც თავის მხრივ აცნობებს პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, საიდანაც დაუყოვნებლივ გაიგზავნება პრემიები კუთვნილებისამებრ.

ქრონიკა

— **ფასიანი საწოლები.** ჯანსახკომის საბებიო ინსტიტუტთან ეწყობა 30 ფასიან საწოლს.

— **გადამდები სნეულებანი.** 12 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრამდე მთელ რესპუბლიკაში აღრიცხულია გადამდები სნეულებით დაავადმყოფების 101 შემთხვევა.

— **ჯანსახკომმა გადასწყვიტა** თავის განკარგულებაში მყოფ საავადმყოფოებში სტაჟიანი ექიმების რიცხვი გაადიდოს 30 კაცით.

— **დახმარება უმუშევრებს.** 29 ოქტ. შრ. ბირჟის უმუშევართა დამზღვევი განყოფილება გასცემს ოქტომბრისათვის დახმარებას გემოკვების, სახალხო კვების, ქიმიკოსების და ახალგაზრდათა სექციების უმუშევრებზე.

— **სიკვდილიანობა კლებულობს.** ჯანსახკომის ცნობით, ცენტრ. სამკურნალო დაწესებულებებში ზაფხულის განმავლობაში სიკვდილიანობამ 1 ნახევარი პროცენტით იკლო.

— **მუშათა სახლები.** თბ. საბინაო კოოპერაციამ გადასწყვიტა თბილისში ააშენოს მთელი რიგი მუშათა სახლები.

— ქ. ალმასკომმა გადასწყვიტა მიიღოს სათანადო ზომები ნიაღვრების წინააღმდეგ.

— **სასაკლაოს შემოსავალი** 23—24 საანგარიშო წელში უდრის 427,205 მან. გასავალი 385,664 მან.

— **ლენინგრადის სასარგებლოდ.** საქ. შრომის კომისარიატის თანამშრომლებმა ლენინგრადის სასარგებლოდ გადასდვეს 108 მან.

— **საბინაო გადასახადი.** რესპ. საბინაო კოოპერაციამ შეიმუშავა თავის ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის მიხედვით საბინაო გადასახადიდან აღებული უნდა იქნას 1,994,220 მან.

— **ქარხნის გადაცემა.** ანანოვისეული აგურის ქარხანა გადაეცა ცენტრალურ საამშენებლო ამხანაგობას.

— **დახმარება კრეისერ „კომინტერნს“** ა-კ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა ა-კ. ფინსახკომს გასცეს 1438 მ. 93 კ. კრეისერ „კომინტერნის“ კომანდის დასახმარებლათ.

— **დახმარება დავრდომილებს.** სექტემბერში თბ. დამზღვევ კასამ პენსიონერებს დახმარების სახით მისცა 2142 მ.

— **ა.-კ. სახ. კომისართა საბჭომ** ა-კ. ფიზკულტურის საბჭოს განკარგულებაში გადასდო 500 მან. მუშაობის გასაცხოველებლათ.

— **სესხის ვადის გაგრძელება.** ა-კ. სახ. კომისართა საბჭომ ა-კავკასიის სახ. გამომცემლობებს გაუგრძელა მათზე გაცემულ სესხის ვადა 1925 წ. 1 იანვრამდე.

— **მუშათა ჯანმრთელობის შემოწმება.** ჯანსახკომმა გადასწყვიტა ხანგამოშვებით შეამოწმოს მავნე წარმოებებში მომუშავენი ჯანმრთელობის მხრივ.

— **მცხოვრებთა კვების გამორკვევა.** თბ. ქ. ალმასკომის სტატისტიკური განყოფილება შეუდგა თბილისის და მისი მაზრის მცხოვრებთა კვების გამორკვევას.

— **წყალსადენი ლენინის მუშათა რაიონში.** ახლო ხანში დამთავრდება ლენინის მუშათა რაიონში წყალსადენის გაყვანა. წყალი გაყვანილი იქნება 5 ვერსის მანძილზე.

— **გადამდებ სნეულებათა მოძრაობა სექტემბერში.** მთელ საქართველოში გადამდებ სნეულებათა შემთხვევების საერთო რიცხვი აღრიცხულია 561. მათ შორის პარტახტიანი ტიფი 30 შემთხვევა და მუცელა—343 (უმთავრესად ოსეთში).

შემთხვევები

— ქურდი მუშა. შეიპყრეს მუშა არუსტანოვი, რომელსაც ბრალდება ივანე შიოევის ნივთების, მაღაზიაში მიტანის მაგიერ, ბაზარში გაყიდვა.

— შეპყრობა. შეიპყრეს მეეზოვე ასსან მუსტაფა, რომელსაც ბრალდება მარიამ ალექსანდროვას ბინის (ანასტასიევის ქ. № 16.) გაქურდვა.

— ქურდობა. 24 ოქტ. დღით პლეხანოვის პრ. მდებარე საავადმყოფოდან № 58, მოიპარეს მოქ. ნემსაძის პალტო.

— ამავე დღეს იდარისა გაჯის ტყავის მაღაზიიდან მოიპარეს 3 ნაჭერი ტყავი 200 მან.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა

„ტრავიატა“.

მართალია ოპერა „ტრავიატა“ საკმაოდ მოძველებულია, მაგრამ ის მაინც იზიდავს საზოგადოებას თავისი მშვენიერი მელოდიებით.

ვიოლეტა ვალერის როლის შემსრულე [illegible] მომღერალი პოპოვა. პოპოვას ეტყობა კიდევ უფრო დაუმუშავებია თავისი ხმა, მისი ტეხნიკა განსაცვიფრებელია. პოპოვას სიმღერა შეიძლება შევადაროთ კოლორატურულ პარტიების თანამედროვე გამოჩენილ შემსრულებლების სიმღერას. ამასთანავე პოპოვას სიმღერაში ბევრია ლირიზმი.

კარგია კავსაძე ალფრედის როლში; მომღერალ ს ხმა კარგათ ბგერს.

კარგი შთაბეჭდილება დასტოვა ჟურავლიოვმა ჟერმონ დიუვალის პარტიაში. მოხდენილი გრიმი და გარეგნული გამოხატულება კიდევ უფრო აძლიერებდა საერთო შთაბეჭდილებას.

ორკესტრს მეთაურობდა ფალიაშვილი. ორკესტრმა გამოჰყო ყველა მელოდიური სურათები.

მასიური სცენები, სამწუხაროთ, ვერ შორდება ჩვეულებრივ საოპერო ტრაფარეტს.

მუსიკოსი.

„ფაუსტი“.

ოპერაში მთავარ პარტიათ ითვლება მეფისტოფელის პარტია, რომელსაც გუშინ შეუნარჩუნა დემონიზმის შორეული ნიშნები: შარაშიძის ავადმყოფობის გამო მეფისტოფელის პარტიაში გამოვიდა მომღერალი ისეცკი. მის მიერ მკრთალათ იყო შესრულებული სერენადა.

მკრთალი იყო რაშელ-პოლიშჩუკი მარგარიტას პარტიაში. სასურველია უფრო მრავალფეროვანი მიმიკა.

მოფიქრებულათ მიყავს ფაუსტის პარტია მომღერალ კულაგინს. ის საოპერო ტრაფარეტიდან ქმნის ცოცხალ სახეს, განსაკუთრებით სცენაში მარგარიტასთან.

საუცხოვოთ იმღერა ვალენტინის პარტია მომღერალმა ვენაძემ მან დიდის აღტყინებით ჩაატარა სიკვდილის სცენა.

მუსიკალურათ შეასრულა ზიბელის პარტია ვოლჩანეცკაიამ. მომღერალი ქალი ნეიმანი საუკეთესო შემსრულებლათ ითვლება მართას პარტიის.

სერგეევმა ვალპურგიის ღამის დადგმაში ზომიერების გრძნობა და საკმაო გემოვნება გამოიჩინა. ჯგუფები საინტერესოა. ჯოჯოხეთის ვაკხანალიის სურათი საკმაო ნათლათ არის მოცემული.

ცალკე შემსრულებლებიდან აღსანიშნავი არიან პრიმა-ბალერინა ლეონოვა, მოცეკვავე ქალები ჰაბუკიანი, რატუშენკო, კაზინეცი. კარგათ ცეკვავს თვითონ სერგეევიც, მხოლოდ მისი პლასტიური ჟესტები მეტათ ერთფეროვანია. კარგია ბარხუდაროვის მიმიკა.

ვანო ფალიაშვილმა ჩვეულებრივის ყურადღებით, მოფიქრებით და მუსიკალურათ ჩაატარა ორკესტრის პარტია.

ვ. ხ.

ტერ-დავთიანის კონცერტი

„აიარტუნში“ გაიმართა პიანისტ ოვსენ ტერ-დავთიანის კონცერტი.

ამ კონცერტს ორგვარი ინტერესი აქვს. პირველი—ოვსენ ტერ-დავთიანი (რომელიც დიდი ხანია თბილისში ცნობილია იოსებ გიორგის ძე ტერ-დავიდოვის სახელით) უკვე 30 წელიწადია, რაც პედაგოგიურ ასპარეზზე მოღვაწეობს.

ოვსენ ტერ-დავიდოვმა დაამთავრა პროფ. პაბსტის კლასი მოსკოვის კონსერვატორიაში. ესტრადაზე გამოსვლა მან დაიწყო მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, მისი კონცერტების მიზანია სომხური მუსიკის გავრცელება და პოპულიარიზაცია.

პიანისტმა დაგვანახვა საკმაო ტეხნიკა და სომხურ ნაციონალურ მუსიკასთან სწორათ მიდგომა. კონცერტი საინტერესო იყო თვით შინაარსის მხრივაც.

ბარხუდარიანი ახალგაზრდა სომეხი კომპოზიტორია.

იმ ნაწარმოებების მიხედვით, რომლებიც შესრულებული იყო კონცერტზე, შეიძლება ითქვას, რომ ბარხუდარიანს აქვს მკაფიო კომპოზიტორული ნიჭი. ეს ნიჭი გამსჭვალულია აღმოსავლეთური კოლორიტით, ბარხუდარიანი ჰქმნის თავისებურ მელოდიას და ჰარმონიას.

კარგია ბარხუდარიანის „აღმოსავლური ცეკვა“ „მუსიკალური ესკიზი“, მუსიკალური სურათი „საშემოდგომო“ და ნაციონალური ცეკვა „ნაზ-პარ“-ი.

ვ. ი.

რუსთაველის თეატრი.

— ხუთშაბათს 30 ოქტომბერს წავა პრემიერა პირველად ქართულ სცენაზე სანდრო შანშიაშვილის პიესა „ლატავრა“ 4 მოქ. მონაწილეობენ: ვერა ანჯაფარიძე, ც. ამირეჯიბი, გ. დავითაშვილი, აკ. ხორავა, ლამბაშიძე, გვარაძე, ვარდოშვილი, ვ. ჯიქია, და სტუდიელები. დადგმა ალ. ახმეტელისა.

სახელმწიფო ოპერა.

ოთხშაბათს 29 ოქტომბერს პირველად ამ სეზონში „ურიის ქალი“ ოპერა გალევის. მონაწილეობენ ბოგოლეპოვისა, გაბაშიძისა, მოსინი, კულაგინი, ისეცკი, დემიანენკო და ქურხული. დირიჟორობს სტოლერმანი, ბალეტი სერგეევის, ჰაბუკიანის ლეონოვის და ფეოდოროვის მონაწილეობით.

რომენ როლლანის პიესა „ბასტილიის აღება“ ქართულ ენაზე. ქართულ ენაზე გადაითარგმნა რომენ როლლანის რევოლიუციონური პიესა „ბასტილიის აღება“. პიესა გადაკეთებულია პროლეტკულტის წითელ თეატრისთვის. მისი დადგმა ამ დღეებში მოხდება.

— **სომხური დრამა.** 29 ოქტ. რუსთაველის თეატრში გაიხსნება სომხური დრამის სეზონი. წარმოდგენილი იქნება „ღმერთების დალუპვა“.

— **მოხსენება ალ. ყაზბეგზე.** ორშაბათს, 3 ნოემბერს ვახტანგ კოტეტიშვილი რუსთაველის თეატრში წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ალ. ყაზბეგის ავტორობის საკითხი“. მოხსენების შემდეგ კამათი.

— **„ხელოვნების დროშა“.** გამოვიდა ჟურნალ „ხელოვნების დროშა“-ს № 4.

— **ქართული დასი სანგანათლების თეატრში.** სანგანათლების თეატრთან შესდგა ქართული დასი, რეჟისორათ მოწვეულია ვ. გამყრელიძე.

— **კინო-თეატრი ჯარისთვის.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათ. კომისარიატს 1-ლ ქართ. დივიზიას გადასცეს კინო „ოაზისი“.

კინო

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობა

„პირველი ნაბიჯი“

ამ დღეებში დამთავრდება ახალი კინო-სურათის „პირველი ნაბიჯის“ („სამი სიცოცხლე“) მონტაჟი. სურათი დადგმულია გიორგი წერეთლის რომანის მიხედვით.

სურათს დასდგამს რეჟისორი პერესტიანი, ოპერატორია—დიღმელი. სურათი წავა ორ სერიათ „დაკარგული საუნჯენი“-ს შემდეგ.

მთავარ როლებს ასრულებენ ნატო ვაჩნაძე, ყიფიანი და გელოვანი.

„რკინის რაზმი“.

ამ დღეებში დამთავრდება რევოლიუციონურ-ყოფა-ცხოვრების სურათის „რკინის რაზმი“-ს გადაღება. სურათს სდგამს რეჟისორი ბარსკი, ოპერატორია ზაბოზლაევი. სურათი წავა „პირველი ნაბიჯი“-ს შემდეგ.

მთავარ როლებს ასრულებენ მ. ჭიაურელი, ჯაში, აკ. ხორავა, ვ. ანჯაფარიძე და ბერიშვილი.

„ტარიელ მკლავაძე“

ამჟამად რეჟისორი პერესტიანი აწარმოებს სურათ „ტარიელ მკლავაძის“ მონტაჟს; სურათი დადგმულია ეგნატე ნინოშვილის მოთხრობის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით.

მთავარ როლებში—ნატო ვაჩნაძე, მიქაბერიძე და ქადაგიძე.

კინო-მსახიობები.

კინო-მრეწველობის მიერ დადგმულ 5 სურათში (სურამის ციხე, წითელი ეშმაკუნები, არსენა ყაჩაღი, მამის მკვლელი და მოძღვარი).

ეროვნების მიხედვით მონაწილეობას იღებდენ: ქართველები---290, სომხები---172 რუსები---210, ებრაელები---51, მუსლიმანები---15, გერმანელები---8, პოლონელები---7, ოსები---2 და ზანგი---1.

დღეს კინოებში.

— „არფასტო“---„დაკარგული საუნჯენი“ (მეორე სერია)

---„სოლეილ“---„დაკარგული საუნჯენი“ (მეორე სერია).

---„აპოლო“---„დაკარგული საუნჯენი (მეორე სერია)

---„სამოლიოტ“---„შეშლილი“

---„მინიონ“---„მეგობარი თუ არამზადა“

---„კინო-პალას“---„მაცისტი და-ჯასვენებლათ“.

სპორტი

ფეხბურთელთა შეჯიბრება გორში

კვირას, 19 ოქტომბერს მოხდა შეჯიბრება ფეხბურთელთა გუნდების „არაგვის“ („ზაგესი“) და გორის „გლეხი“-ს შორის. ამინდიც ხელს უწყობდა ამ შეჯიბრებას. ხალხი საკმაოთ დაესწრო. თამაში დაიწყო სრულ 3 საათზედ და კარგათაც მიმდინარეობდა. 1 ჰავტაიმში პირველ 6—7 წუთში „არაგვმა“ [illegible]ერში მოიტანა გორის ჯგუფზედ მაგრამ 10—15 წუთის შემდეგ გორის ჯგუფი გადავიდა შეტევაზედ და 16 წუთზედ შეუგდო ერთი გოლი „არაგვს“. მე-2 ხავტაიმში არაგვი ცდილობდა, მაგრამ გორის ჯგუფის ბეკების გამკრიახობით, ვერაფერს გახდენ. თამაში გათავდა 1:0 გორის ჯგუფის სასარგებლოთ.

გრი—გრი.

პროვინციაში

აფერისტს პასუხი უნდა მოეთხოვოს

სოფელი ქვაჟუდი (გამოჩინებულის თემი)

სოფელი ქვაჟუდი იმყოფება გურიის საზღვარზე და გამოჩინებულის თემიდან დაშორებულია ათი ვერსით. 1922 წლის დიდმა ქარმა ამ სოფლის სასწავლებელი სრულიად დაანგრია და გააპარტახა და ეხლანდელი სასწავლებელი უფრო უბრალო საცხოვრებელ ბინას თუ წააგავს, ვიდრე ნამდვილ სოფლის სკოლას.

რომ ძველი სოფლის სასწავლებელი უფრო გაფართოებულიყო და მკვიდრად აშენებულიყო, ამ მიზნით ამ სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობამ აქაურ მცხოვრებ ლავრენტი გეგუჩაძეს მისცა სათანადო მოწმობა, რომ მას საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში სკოლის სასარგებლოდ მოეგროვებინა თანხა, რომელიც მისცემდა ღარიბ სოფელს საშუალებას სკოლის საქმე უკეთესად მოეგვარებია.

სოფელ ქვაჟუდმა ლავრენტი გეგუჩაძე აღჭურვა სათანადო მოწმობით და მანდატით. ის გაემგზავრა ჯერ ბათომში და შემდეგ სხვა ქალაქებში შეწირულების მოსაგროვებლად. როგორც წესი და რიგია, გეგუჩაძე ვალდებული იყო მისი შეგროვილი თანხის ანგარიში მის მიერ გაგზავნილი ამხანაგებისათვის ჩაებარებია.

აგერ სამი წელი სრულდება და ლავრენტი გეგუჩაძე დღესაც არ სჩანს მისი ანგარიშებით და სოფელს ის ამით დიდ ზარალს აყენებს.

როგორც ხმები დადის, ლავრენტი გეგუჩაძეს, უსარგებლია რა სოფლის მიერ მიცემული მანდატით და მოწმობით, შეუგროვებია მაშინდელი ვალიუტით 400 ოსმალ. ქაღალდის ლირა და რამდენიმე ათეული მილიონი ბონებითაც.

დღეს ეს პიროვნება სოფელს ემალება და არავინ არ იცის, თუ სად იმყოფება ის; ლ. გეგუჩაძე თვითონ სოფ. ქვაჟუდის მკვიდრი მცხოვრებია და მას სოფელში დარჩა მამა და ძმები, რომლებმაც იციან, თუ სადაც იმყოფება იგი. ხალხი აღშფოთებულია სახალხო ქონების ასე მითვისებით. თუ ხმებს დაუჯერებთ, ლავრენტი გეგუჩაძე დღეს ყუბანის ოლქში არის, სახელდობრ ქალაქ არმავირში.

მის მიერ 400 ლირის მითვისების გამო სწარმოებდა გამოძიება დასავლეთ საქართველოს პროკურატურის მიერ, მაგრამ რა ბედი ეწვია ამ გამოძიებას, ამის შესახებ ქვაჟუდის სოფლის მცხოვრებმა არაფერი იციან.

საჭიროა ეს პიროვნება მოძებნილ იქნეს და მოეთხოვოს მას ანგარიში მის მიერ შეგროვილი 400 ოსმ. ლირის შესახებ; საბჭოთა ხელისუფლების დროს ასეთი პირები სასტიკად უნდა დაისაჯონ, რომ სხვებმა არ გაბედონ ასეთი ბოროტება.

სოფ. ქვაჟუდის მცხოვრებთა დასამშვიდებლად, საჭიროა ეხლავე დასავლეთ საქართველოს პროკურატურამ მიიღოს ზომები და პასუხისგებაში მისცეს ხალხის ქონების მიმთვისებელი და გამფლანგველი ლავრენტი გეგუჩაძე, რომ მან ასეთი ბოროტება არ განიმეოროს ყუბანის მშრომელთა მიმართაც.

უ—ნი.

ვანის რაიონი ბანდიტური გამოსვლების შემდეგ

(ქუთაისის მაზრა)

საბჭოთა აღმშენებლობა ჩვენს რაიონში ბანდიტური გამოსვლების შემდეგ, უფრო გაცხოველდა. კულტურულ მუშაობაში უპარტიო მასებს შორის ჩაბმულია მასწავლებლობა. პირველ ნოემბრიდან გამოწერილია რაიონში მომუშავე მასწავლებლების და საბჭოთა მოსამსახურეების მიერ ყოველდღიური გაზეთები. ყველა მასწავლებელს ექნება საკუთარი გაზეთი, რომ სოფლის გლეხობაში იკითხოს და ისაუბროს ჩვენს პირ-ვარამზე და პოლიტიკურ ვითარებაზე.

კოოპერაცია სოფლად ფრთებს შლის: ხსნის ახალ-ახალ წარმოებებს.

მთავრობის ყურადღება უნდა მიექცეს ამ რაიონის მთავარ გზას, ეგრედ წოდებულს „ბაღდათ-ორპირის გზას“, რომლის სახაზინოთ გადასვლა შესძლებს ამ მთავარ გზის შოსეთ გაკეთებას და მით დიდ ნაყოფს მოუტანს როგორც ეკონომიურად, ისე პოლიტიკურადაც მშრომელ გლეხობას და საბჭოთა რესპუბლიკასაც.

ხ. ეფემიაშვილი.

ვინ იკისრებს შეფობას

სოფელი ქვემო-ნიჩბისი (გორის მაზრა)

არა გვგონია, რომ კიდევ მოიპოვებოდეს ისეთი უპატრონოდ დატოვებული კუთხე, როგორიც არის ქვემო ნიჩბისი არავინა. გვყავს გულშემატკივარი; არა გვაქვს არც სკოლა, არც გზა, არც კულტურული მუშაობა სწარმოებს ჩვენში. ამ სოფელს ცკრავს ახლოს კიდევ სხვა სოფლებიც, ამაზე სჩივიან იქაც. კარგი იქნებოდა, რომ რომელიმე ორგანიზაცია იკისრებდეს ჩვენზე შეფობას, გვიწყობდეს ხელს სოფლის სამეურნეო ცხოვრებაში.

ხელს აწერს ათი კაცი.

პროვინციის ქრონიკა

— **სიძველეთა დაცვა.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა ქ. ონში დანიშნა საარქეოლოგიო საქმეთა რწმუნებული რაჭის მაზრაში სიძველეთა დაცვის მიზნით ზომების მისაღებათ.

— **კირის ქარხანა.** გორის მაზრის ადგილობრივ მეურნეობის განკარგულებაში მყოფი კირის ქარხანა ყოველთვიურად ამზადებს 3,500 ფ. კირს.

— **რაჭის მილიცია.** რაჭის სამაზრო აღმასკომმა გადასწყვიტა გაადიდოს მილიციის შტატი 6 კაცით და მილიციაში მიიღოს მხოლოდ უვადო შვებულებაში წასული წითელარმიელები.

— **სატელო მიმოსვლა.** ოზურგეთ-ხიდისთავს შორის მოეწყო მუდმივი მიმოსვლა ეტლით.

— **ჟავრის დამზადება.** სახელმწიფო დაწესებულებათა საჭიროებისათვის განზრახულია რაჭის ტყეებში დაამზადონ რამოდენიმე ასეული ურემი ჟავარი.

— **ღვინის დამზადება.** სახელმწიფო ვაჭრობის ქუთაისის განყოფილებამ გადასწყვიტა გლეხებისაგან შეისყიდოს 20,000 ვედრო ღვინო.

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ გამოაცხადოთ შემდეგი:

მე დიდი ხანია ფაქტიურად დავშორდი ახალ. მარქ. ორგანიზაციას. ხოლო სხვადასხვა მიზეზების გამო ფორმალური ნაბიჯი დამიგვიანდა. თუ აქამდი შესაძლებელი იყო ზოგიერთი ეჭვები ახალი გზების შესახებ, დღეს ეს ეჭვები საბოლოოვოდ გაფანტულია მომხდარ გამოსვლების შემდეგ. ამას გარდა მიმდინარე წელმა განსაკუთრებით ნათელჰყო მეორე ინტერნაციონალის იდეური გაკოტრება. ერთად ერთი რევოლიუციონური ორგანიზაცია მსოფლიოში მესამე კომუნისტური ინტერნაციონალია. საქართველოს ეკონომიური და კულტურული აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ მუშათა [illegible] წყობილების [illegible] ქართველი ერის და მუშათა კლასის კეთილდღეობა, უნდა დაეყრდნოს საბჭოთა პლატფორმაზე. მე პირადათ ამიერიდან მთელი ჩემის ძალებით ვუერთდები პროლეტარიატის რევოლიუციურ დიქტატურას.

ყოფ. ახ. მარქ. ვ. ქუთნია.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

განმარტება

ა | კ. შრომის სახ ლხო კომისარიატისა 1924 წ. სექტემბრის 25.

„სპეც-ტანისამოსის ნორმების გამოყენების და სპეც-ტანისამოსის მიღების წესის შესახებ“.

ვინაიდან სპეც-ტანისამოსის ნორმების გამოყენების და სპეც-ტანისამოსის მიღების დროს ხშირად გაუგებრობას აქვს ადგილი, ამიტომ ა | კ. შრომის სახალხო კომისარიატი განმარტავს:

1. ა | კ. შრ. სახ. კომ. მიერ დადგენილი ნორმები სპეც-ტანისამოსისა სავალდებულო და მინიმალურია ყველა წარმოება-დაწესებულებებისათვის, ა | კ. შრ. სახ. კომ. მიერ დადგენილ ნორმების გაფართოება დაიშვება მხოლოდ კოლხელშეკრულებათა ან ინდივიდუალურ შეთანხმებათა წესით.

2. ა | კ. შრ. სახ. კომ-საგან დადგენილი სპეც-ტანისამოსის ნორმები ვრცელდება პროფესიათა სიებში ჩამოთვლილ ყველა მუშა-მოსამსახურეებზე, იმ წარმოებისა—ან სახალხო მეურნეობის დარგისაგან დამოუკიდებლათ, სადაც ისინი მუშაობენ.

3. სპეც-ტანისამოსი და მცველი მოწყობილება თითოეული მუშა-მოსამსახურისათვის სათანადო ზომის უნდა იყოს.

4. სპეც-ტანისამოსის რაოდენობა უნდა ეთანაბრდებოდეს ტარების ვადას.

5. სპეც-ტანისამოსის ნიმუშებს სინჯავს კომისია, რომელშიაც შედიან ადმინისტრაციის და ადგილობრივი პროფკავშ. უჯრედის წარმომადგენლები და ექსპერტი, სპეცტანისამოსის მთელი პარტიის მიღებისათვის კი პასუხისმგებლობა სამეურნეო ორგანოებს ედება.

ა | კ. შრ. სახ. კომისარი

[illegible]აკუბოვი.

შრომის დაცვის განყ. გამგე

გოდაბოლიძე.

სანიტ. სექციის გამგე

მელიქ-შახნაზაროვი.

ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის.

ცირკულიარი № 6.

1924 წ. ოქტომბრის 27 ქალ. თბილისი.

მაზრის აღმასკომებს და ავტონომიურ ერთეულების შინსახკომებს.

„ს. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი, მისი ა | წ. სექტემბრის 22-ის, № 79, ცირკულიარის დამატებით, აცხადებს, რომ პოლონელ რეპატრიანტების მიერ საბუთების პოლონეთის მისიაში მოსკოვში წარდგენის ვადა გაგრძელებულია ა | წ. ნოემბრის 1-დის.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი

ა. გეგეჭკორი.

ადმინისტრატიული განყ. უფროსი

ბ. ბერია.

უცხოელთა ნაწილის გამგე

ეგოროვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი,

პარტიული

— არსენალის რაიკომი წინადადებას აძლევს გამოცხადდენ რაიკომში არა უგვიანეს ხუთშაბათ, 30 ოქტომბრისა—შემდეგი ამხანაგები: გრიშჩენკო, ნუცუბიძე გალაქტიონ, ოდილავაძე და პავლენკო.—გამოცხადების დრო: 9—3 საათამდე.

— არსენალის რაიკომის ქალთა განყოფილება იუწყება: ოთხშაბათს, 29 ოქტომბერს, საღამოს 5 საათზე მუშათა ცენტრალურ კლუბში შესდგება არსენალის რაიონის ქალების დელეგატთა კრება—ქალ-ორგანიზატორებთან და დიასახლისებთან ერთად.

ყველა დელეგატებისა, ქალ-ორგანიზატორებისა და შინაურ დიასახლისებისთვის დასწრება სავალდებულოა.

— არსენალის რაიკომი ქვემო-დასახელებულ ამხანაგებს წინადადებას აძლევს გამოვიდენ მოხსენებით ოქტომბრის რევოლიუციის მეშვიდე წლის თავის შესახებ ყველა იმ ადგილებში, რაც ჩამოთვლილია ქვევით:

1 საბჭოთა მეორე ქარხანა, სპილენძის სატკეცი ქარხანა, ავტო-სახელოსნო № 1 სარემონტო ქარხანა 29 ოქტომბ. დღის 3 საათ.—ამხ. შვარცი.
2. თამბაქ. ფაბრ. რ. ლიუქსემბურგის სახელობისა—29 ოქტომბ. დღის 3 საათზე—ამხ. ერქომაიშვილი.
3. თამბაქ. ფაბ. „პროლეტარი“.—29 ოქტომბ. დღის 3 საათზე,—ამხ. კოჯანი.
4 სამხერხაო ქარხნები—29 ოქტომბ. დღის 4 საათზე—ამხ. ორახელაშვილი.
5. მესამე საქარხ კომიტეტი.—30 ოქტომბ. საღამოს 6 საათზე—ამხ. პოლონსკი.
6. სატრანს. განყოფილება—30 ოქტომბ. დილის 6 საათზე,—ამხ. სირტკინი.
7. კოლოფ. ფაბრიკა—28 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. კიდაიში.
8. მიხეილის საავადმყოფო—30 ოქტომბ. საღამოს 6 საათზე.—ამხ. შვარცი.
9. ფსიქიატრიული საავადმყ. ალექსანდროვის საავადმყ. 30 ოქტომბ. საღამოს 6 საათზე.—ამხ. მიქაძე.
10. ტრამვაი—1 ნოემბ. საღამოს 6 საათზე ამხ. სიმკოვი.
11. ელექტრო-სადგურების მუშებთან—30 ოქტ. დღის 3 საათზე, ამხ. როზენფარბი.
12. არსენალი—30 ოქტომბ. დღის 3 საათზე—ამხ. ერქომაიშვილი.
13. სანიტ ტეხნიკ. განყ.—30 ოქტომბ. დღის 4 საათზე, ამხ. მაკინციანი.
14. სამკერვალო ფაბ. 29 ოქტომბ დღის 4 საათზე—ამხ ნაზაროვი.
15. წყალსადენის სახელ. 30 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. [illegible]
16. ავტო-სახელოსნო № 3, 30 ოქტომბ. დღის 3 საათზე,—ამხ. [illegible]
17. თვალსაჩინო სახელმძღვან. ინსტიტუტი 30 ოქტომბ. დღის 3 საათზე—ამხ. შავერდოვა.
18 მეტყავეები 30 ოქტომბ, საღამოს 6 საათზე,—ამხ. ხანოიანი.
19 ღვინის სატრესტი 30 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. პეცოვი.
20. მდინარის წისქვილები 1 ნოემბ. დღის 4 საათზე,—ამხ. ვარდოიანი.
21. ცეკავშირი, 30 ოქტომბ. დღის 3 საათზე,—ამხ. ერქომაიშვილი.
22. მუშფაკი 1 ნოემბ. საღამოს 8 საათზე,—ამხ. ნუცუბიძე.
23. პროლეტკულტი 30 ოქტომბ. დღის 3 საათზე,—ამხ. ერისთავი.
24. მშენებელთა საქარხკომი 30 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. მეძმარიაშვილი.
25 დამზღვევი სალარო 30 ოქტომბ. დღის 3 საათზე,—ამხ ვაწაძე.
26. ჯანმრთელ. სახ. კომისარ. 1 ნოემბ. საღამოს 7 საათზე,—ამხ. ერისთავი.
27. საქ. სახელმწ. ვაჭრობა 30 ოქტომბ. საღამოს 6 საათზე—ამხ. ამიროლოვი.
28. მუშკოოპი 30 ოქტომბ. საღამოს 7 საათზე,—ამხ. ზვერევი.
29. ს. ძ. უ. ს. 30 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. როზენფარბი.
30 ა—კ. კოოპ. კავშირი 30 ოქტომბ დღის 3 საათზე,—ამხ. მეგრაბიანი.
31 ა.—კ. საგ. კომ. ჯარები 30 ოქტომბ. საღამოს 6 საათზე,—ამხ. პენიკოვი.
32. კუსტარ. წარმოება 30 ოქტომბ. დღის 4 საათზე,—ამხ. ბრეიტმანი.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 29 ოქტომბერს

„ურიის ქალი“

2—1 ნ. № 103

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს

პრემიერა „ლატავრა“

შაბათს, 1 ნოემბერს

„მათრახის პანაშვიდი“

კვირას, 2 ნოემბერს

„მალშტრემ“

6—1 ნ. № 104

კინო-მინიონი

ოთხშაბათიდან, 29 ოქტომბრიდან

მხიარული საღამოები

მსოფლიოში ცნობილი „ჩინეს“-ის ფირმის უკანასკნელი დადგმა

მეგობარი თუ არამზადა

კინო-რომანი 7 ნაწილად (უსაქმო ხალხი)

მთავარ ფერნანდას როლს ასრულებს ნიგრი პუშე

(რომელიც მთავარ როლს ასრულებდა სურათში „ბიჭუს თავგადასავალი“).

ანონსი

გოშა

ქალის

სიყვარული

ჟორჟ ონეს ცნობილი რომანის მიხედვით.

ნ. 107 1—1

მედიცინის დოქტორი

ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. გ. მეგრაბიანცი

გულის, ფილტვების ავადმყოფობა და ტუბერკულიოზი. მალიარიის სპეციალური ექიმობა 914 შეშხაპ. ფილტვების, გულის და სხვა ორგანოების განსჯერეტა, სურათის გადაღება და ექიმობა

რენტგენის სხივებით

მიღება ყოველდღე 9—1 საათამდის და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

ქ. 2507 13—4

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.

№ 2095—25—7

10 მანეთად

თვეში ვაძლევ

მათემატიკის

(არითმეტ., ალგებრა, გეომეტრია, ტრიგონომეტრია) და რუსული ენის გაკვეთილებს საშუალო სასწავლებლის პროგრამით.

პლეხანოვის ქ. № 25 შესავალი ალექსის ქ. № 5 ნახვა 2—6 ს.

ნის. 5—5 75

გამოვიდა და იყიდება

ექიმ. ავთ. ინგოროყვას წიგნაკი

„აგარაკი

გახმარე“.

3—3 № 2485.

„კომუნისტი“-ს კანტორისაგან

პროვინციელ სხვადასხვა ორგანიზაციების და კერძო პირთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ განცხადებები მოწმობების დაკარგვის (და აგრეთვე სხვა ხასიათისაც)

უფასოდ არ დაიბეჭდება!

მედიცინის დოქტორი

ა. ა. მონსე

მოზრდილების და ბავშვების შინაგან და ნერვიული სისტების სნეულებათა მკურნალობა

ელექტრო-სინათლით

სამკურნალო კაბინეტი

მიღება: დილით 10—12 საათ. საღამოთი 5—7 საათ.

(გარდა კვირა დღისა) პლეხანოვის პრ. (ყოფ. მიხეილოვის № 111 ბ. № 2

ქ. № 2531—25—4

1 ნოემბრიდან დაიწყება მეცადინეობა სახალხო განათლების კომისარიატის პრ. ტეხნ. გან. მთავ. მმარ. მმგ-ში არსებულ

პ. ზუმბაძის და ზ. ინწკირველის

საბუღალტრო კურსებზე

კეცხოველის ქ. № 12 (ყოფილი ქალ. 1-ლი გიმნაზ. ლორის-მელიქოვის ქ.)

მეცადინეობა იწარმოებს ყოველ დღე საღამოს 5—8 საათამდე სრულიად ახალი მეთოდით საუკეთესო თეორეტიკოს და პრაქტიკოს ბუღალტრების ხელმძღვანელობით.

მსმენელნი შეისწავლიან ქართულ ენაზე ბუღალტერიის საფუძველს (მარტივ, ორმაგ ანუ იტალიანურ და ამერიკულ სისტემას) და სპეციალურ დარგებიდან: საბანკო, საფაბრიკო-საქარხნო, მუნიციპალურ (სამაზრო აღმასკომებში ანგარიშების წარმოება), სავაჭრო, დამზღვევ კასების, სააქციო საზოგადოებების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ბუღალტერიას, კომერციულ არითმეტიკას, პოლიტიკურ ეკონომიას, სავაჭრო უფლებას, საბჭოთა აღმშენებლობას და სავაჭრო კორესპონდენციას (მიმოწერას).

მეცადინეობის დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საგნის პრაქტიკულად შესწავლას.

ჩაწერა, პროგრამის გაცნობა და დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე წიგნის მაღაზია „განათლება“-ში, ლენინის (ყოფ. ოლღას) ქ. № 6 ს. თავართქილაძესთან.

ნის. 57 9—7.

აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან არსებული

მთავარი საკურორტო სამმართველო

აცხადებს რომ 10 ნოემბრიდან იხსნება

შემოდგომის-ზამთრის-გაზაფხულის სეზონი

ქობულეთში. სანატორიუმი სრული პანსიონით

ძვლის, ჯირკვლების და კანის ჭლექით დაავადებულთათვის, ფილტვების ჭლექით პირველ სტადიაში, ემფიზემით, ასტმით, სასუნთქავ გზების ბრონქიალურ კატარით, გულის კომპენსატორულ მანკით, გულის ასტმით და რევმატიზმით, იმ რეკონვალესცენტებისათვის, რომელნიც დაავადებული არიან დაქანცულობით და ნევრასტენიით

სეზონი გრძელდება, მთელი წელიწადი სანატორიუმი საუცხოვოდ არის მოწყობილი, უხვი მზე, ზღვის სააბაზანოები.

გადასახადი: თვეში სრული პანსიონით—მკურნალობით და გარეცხვით კერძო პირებისათვის 150 მანეთი, კავშირის წევრებისა და მოსამსახურეებისათვის 115 მანეთი.

გადასახადი შეტანილი უნდა იქნეს ერთი თვის წინადაჭინ ჯანმრთელობის კომისარიატის სალაროში.

სანატორიუმში სამკურნალოთ ჩამოსულთ დახვდება მთავარ საკურორტო სამმართველოს წარმომადგენელი ავტომობილით. ცნობებისათვის უნდა მიმართონ: ბათომი, აჭარისტანის მთავარი საკურორტო სამმართველო. ლენინის ქუჩა.

აჭარისტანის კურორტების მთავარი სამმართველო. 6—4

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან ავადმყოფობით შეპყრობილთ საღამოს 5—7 საათამდე. ვენერიულ და სიფილისით ავადმყობთ დილის 7—8 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 6, მოსკოვის ქუჩის დასაწყისში.

25—24

ექიმი

ს. ა. გალუსტიანცი

შინაგანი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი; ქრონიკული და მწვავე ტრიპერი, სიფილისი

ავადმყოფების მიღება დილის 25—4 საათ. და 4—7 საათ. ქალების მიღება 2—4 საათ. ელისაბედის ქ., 77 მეორე ახალი კირკას ქუჩის კუთხიდან.

25—24 ქ. № 2320

დავკარგე დამზღვევი კასის წიგნაკი, პირადობის მოწმობა ფოთის მილიციის სამმართველოდან მოცემული და სამხედრო აღნუსხვის ბარათი ვასილ კომახიძის სახელზე გაცემული ჩაითვალოს გაუქმებულად. უფ. 1—1

დავკარგე ს. კ. პ. მიერ მოცემული პარტიული ბილეთი № 500014 სერგო დავითის ძე ხვედელიძის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 2550 1—1

დავკარგე პირადობის მოწმობა ძიკი კვარაცხელიას სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 უფ.

დავკარგე მეტრიკული მოწმობა თამარ ნიკოლოზის ასული გიორგობიანისა. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2568

დავკარგე მეტრიკული მოწმობა გიორგი დიანოზის ძე მაქლაძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2568

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული ჩოჩხათის თემიდან სოკრატ მირიანის ძე გურგენიძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2566

დავკარგე მეტრიკული მოწმობა № 4324 ხელინე და მარიამ მირაქლოვების სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2563

დავკარგე მეტრიკული ამონაწერი № 1234 გიორგი ანტონის ძე კოსტავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1 2564

დავკარგე მეტრიკული მოწმობა გიორგი მაციაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2565

დავკარგე პირადობის მოწმობა მოცემული რკინისგზელთა კავშირიდან, კავშირის წიგნაკი სოლომონ ნანეს ძე ბაგიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 1—1 2562

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, სან. წერეთლის ქუჩა № 4